ᲕᲐᲚᲘᲢᲠᲘ ᲒᲔᲓᲘᲐ

ᲡᲞ

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

8 დეკემბერი შაბათი 2012 №291 (13 897) ფასი 80 თეთრი

საფეხბურთო ავდარი, აირია კალენდარი

აქეთურები, იქითურები, გორში ჩადიან ქუთათურები

2-3

პირველი წრის მატჩი: ტორპედო-დილა

ფოტო: www.fcdila.ge

ᲪᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲗᲣ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ?

როგორ ფერზე შეიღებება მანჩესტერი?

ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲡ ᲙᲝᲜᲢᲖᲔ ᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ

ᲘᲣᲕᲔᲜᲢᲣᲡᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲛᲐ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲛᲐ ᲓᲘᲡᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲐ ᲛᲝᲘᲮᲐᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲣᲥᲛᲔᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜ

5-9

ᲠᲝᲚᲝᲡ ᲪᲘᲤᲠᲘᲜᲐ

ᲠᲘᲩᲕᲖᲔ ᲙᲝᲛᲐᲮᲘᲐ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲬᲧᲐᲚᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲕᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘ

11

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲥᲕᲔᲛᲝ ᲥᲐᲠᲗᲚᲨᲘ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲓᲐ



10

რუსთაველებს ვერც ლაშა გამყრელიძის თავგანწირვამ უშველა

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

ᲪᲣᲓᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ: ᲯᲐᲜᲝ ᲐᲜᲐᲜᲘᲫᲔ ᲛᲔᲜᲘᲡᲙᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐᲡ ᲘᲙᲔᲗᲔᲑᲡ

მოსკოვის „სპარტაკის“ ქართველმა ლეგიონერმა ჯანო ანანიძემ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურის შეხვედრა გლაზგოს „სელტიკთან“ ტრავმის გამო გამოტოვა. სამწუხაროდ, პრობლემა იმაზე სერიოზულია, ვიდრე ერთი მატჩის გაცდენა - მოსკოველთა კლუბის ოფიციალური საიტის ცნობით, ხვალ 20 წლის ფეხბურთელი გერმანიაში გაემგზავრება მენისკის ოპერაციის გასაკეთებლად.

გასულ ორშაბათს ჩვენებურმა ვარჯიშისას იგრძნო ტკივილი მუხლის არეში. ამის შემდეგ მას გამოკვლევა ჩაუტარეს და დაუდგინეს მუხლის მარჯვენა სახსრის შიდა მენისკის დაზიანება. უცნობია, ოპერაციის შემდეგ რამდენ ხანს ვერ ითამაშებს ჯანო.

ნიკოლოზ ნეფარიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

● საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. XIX ტურის წინათქმა

წინასაახალწლო ბაჯალიების მოლოდინში

8.12. განმუხური. 14:00

ზუგდიდი-მერანი

ურთიერთშეხვედრები:
5 მატჩი, 3 მოგება, 0 ფრე, 2 წაგება. ბურ. 6-5

დისკვალიფიკაცია:
ზესტაფონი - არავინ; მერანი - იობაშვილი

8.12. თბილისი. მ. მესხი. 14:00

სიონი-დინამო (თბ)

ურთიერთშეხვედრები:
47 მატჩი, 4 მოგება, 3 ფრე, 40 წაგება. ბურ. 21-118

დისკვალიფიკაცია:
სიონი - ხუბუა; დინამო (თბ) - არავინ

8.12. მცხეთა. მცხეთა ჰარჯი. 14:00

ვიტ ჯორჯია-მეტალურგი

ურთიერთშეხვედრები:
18 მატჩი, 5 მოგება, 5 ფრე, 8 წაგება. ბურ. 14-21

დისკვალიფიკაცია:
ვიტ ჯორჯია - არავინ; მეტალურგი - არავინ

8.12. გორი. თ. ბერაძნაძე. 14:00

დილა-ტორპედო

ურთიერთშეხვედრები:
42 მატჩი, 12 მოგება, 4 ფრე, 26 წაგება. ბურ. 44-88

დისკვალიფიკაცია:
დილა - ლეონარდო, გოგუა; ტორპედო - ბერიაშვილი

LIVE. რეპორტაჟი პირველ არხზე

8.12. ფოთი. ფაჩისი. 14:00

კოლხეთი-დინამო (ბთ)

ურთიერთშეხვედრები:
42 მატჩი, 17 მოგება, 10 ფრე, 15 წაგება. ბურ. 47-48

დისკვალიფიკაცია:
კოლხეთი - არავინ; დინამო (ბთ) - თევდორაძე

11.12. ოკუნწმინდა. 14:00

ჩიხურა-ზესტაფონი

ურთიერთშეხვედრები:
3 მატჩი, 0 მოგება, 2 ფრე, 1 წაგება. ბურ. 0-2

		სულ							შინ							სტუმრად						
ად	გუნდი	თ	მ	ფ	წ	ბურთები		ქ	თ	მ	ფ	წ	ბურთები		ქ	თ	მ	ფ	წ	ბურთები		ქ
						გატ	გაშვ						გატ	გაშვ						გატ	გაშვ	
1	დინამო (თბ)	18	13	4	1	52	16	43	9	9	0	0	38	10	27	9	4	4	1	14	6	16
2	დილა	18	13	1	4	30	11	40	9	6	0	3	17	8	18	9	7	1	1	13	3	22
3	ტორპედო	18	11	2	5	34	17	35	9	7	1	1	19	6	22	9	4	1	4	15	11	13
4	ჩიხურა	18	11	2	5	29	19	35	9	7	1	1	15	4	22	9	4	1	4	14	15	13
5	ზუგდიდი	18	9	5	4	23	14	32	9	7	2	0	16	5	23	9	2	3	4	7	9	9
6	ზესტაფონი	18	8	4	6	23	16	28	9	4	2	3	8	6	14	9	4	2	3	15	10	14
7	მეტალურგი	18	7	2	9	14	24	23	9	4	1	4	7	12	13	9	3	1	5	7	12	10
8	მერანი	18	6	2	10	14	27	20	9	5	1	3	10	10	16	9	1	1	7	4	17	4
9	ვიტ ჯორჯია	18	5	5	8	13	24	20	9	1	4	4	6	10	7	9	4	1	4	7	14	13
10	სიონი	18	4	5	9	13	28	17	9	1	4	4	5	13	7	9	3	1	5	8	15	10
11	დინამო (ბთ)	18	2	3	13	18	41	9	9	2	1	6	10	17	7	9	0	2	7	8	24	2
12	კოლხეთი	18	0	3	15	9	35	3	9	0	2	7	4	16	2	9	0	1	8	5	19	1

ქუთაისში დილამ რომან ახალკაცის გოლით მოიგო

ფოტო: www.fcdila.ge

უმაღლეს ლიგაში პირველი ეტაპის დასრულებამდე ოთხიოდე ტურიღა დარჩა, პასუხგაუცემელი კითხვები კი მრავლად გვაქვს. უპირველესად, საინტერესო ის არის, ვინ გახდება "ზამთრის ჩემპიონი" და როგორ დაკომპლექტდება ზედა და ქვედა ექვსეულები. ამ ორ საკითხს მეტი სიცხადე, შესაძლოა, დღევანდელმა ტურმაც შესძინოს, მაგრამ თითოეული სათამაშო დღე ნებისმიერ შემთხვევაში შეინარჩუნებს თავის მნიშვნელობას.

XIX ტურის ცენტრალური მატჩი გორში გაიმართება, სადაც მეორეადგილოსანი "დილა" დღეისთვის მესამე პოზიციაზე მყოფ "ტორპედოს" უმასპინძლებს. ამ შეხვედრის მნიშვნელობაზე საუბარი ზედმეტიც კი არის – ორივე გუნდს მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვება სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში მიზნისკენ მიმავალი გზა გორელებსაც გაურთულდებათ და ქუთაისელებსაც. "დილას" კარგი შანსი აქვს, "დინამოსთან" სამქულიანი ჩამორჩენა შეინარჩუნოს და ლიდერის ფეხის დაცდენას დაელოდოს, "ტორპედო" კი გორში წარუმატებლობის შემთხვევაში კიდევ უფრო დაშორდება საუკეთესო დუეტს.

დღევანდელი ტური ნაკლული იქნება – "ჩიხურას" არა დღეს, არამედ მოგვიანებით ესტუმრება "ზესტაფონი", რომელიც მართალია, უშუალო კონკურენტ "მეტალურგს" ხუთი ქულით უსწრებს, მაგრამ საუკეთესო ექვსეულში მოსახვედრად მაინც დიდი ბრძოლების გადატანა მოუწევს. ამ რბოლაში რუსთაველები სულაც არ არიან უშანსოდ, მით უფრო, იმის ფონზე, თუ როგორ ვითარდება ბოლო დროს მოვლენები საქართველოს მოქმედი ჩემპიონის ბანაკში.

"მეტალურგსაც" მძიმე ბრძოლა ელის – ამ სეზონში "ვიტ ჯორჯიამ" უკვე არაერთი ფავორიტი გაამწარა და ბუნებრივია, ქულათა მარაგის შევსებას დღესაც შეეცდება.

გაცნობეთ, რომ ბოლნისური არენის მოედნის საფარის ცუდი მდგომარეობის გამო "სიონს" თბილისის "დინამოსთვის" რუსთაავში უნდა ემასპინძლა, თუმცა ეს გადაწყვეტილება კიდევ შეიცვალა და საბოლოოდ დადგინდა, რომ მატჩი ვაკეში, "მიხეილ მესხზე" ჩატარდება.

დასავლეთში ორი დერბი გაიმართება – მეგრული და ზღვისპირული. "ზუგდიდს" ზეექვსეულამდე ბევრი აღარაფერი აშორებს და შესაძლოა, საუკეთესოთა შორის ადგილი დღესვე გაინაღდოს, ფოთში კი ერთმანეთს ორი აუტსაიდერი დაუპირისპირდება. "კოლხეთს" დღევანდელი გადასახედიდან უმაღლეს ლიგაში დარჩენის შანსი აღარ უნდა ჰქონდეს, ბათუმის "დინამოს" კი საამისო პერსპექტივის შესანარჩუნებლად სამი ქულა სჭირდება.

რაკი ზეექვსეული ჯერაც არ დაკომპლექტებულა და სხვა პოზიციებისთვისაც შეუპოვარი ბრძოლაა გაჩაღებული, დარჩენილი ტურების კალენდარს სრულად გთავაზობთ და თავად შეგიძლიათ იმსჯელოთ, ვის როგორი შანსი აქვს საკუთარი ამოცანების განსახორციელებლად.

ბოლო სამი ტურის მატჩებიდან ყველაზე დამაინტრიგებელი წყვილი "ზესტაფონი"-"დინამოა", რომელიც პირველი ეტაპის მიწურულს გაიმართება. ძალიან საინტერესოა, როგორი განწყობითა და სატურნირო მდგომარეობით შეხვდებიან მეტოქეები ზესტაფონურ მატჩს.

მოკლედ, ჩემპიონატი სრული სვლით გრძელდება, ზამთრის პაუზამდე კი მცირე დროღა დაგვრჩა. საბედნიეროდ, წინა სეზონისგან განსხვავებით, ახლა აღარ იმართება ისეთი მატჩები, სადაც ამა თუ იმ გუნდს წაგება მოგებაზე მეტად აძლევს ხელს. შორს ვართ იმ აზრისგან, რომ მიმდინარე ჩემპიონატი წინასწარ შეთანხმებული შედეგების გარეშე დასრულდება (მსგავს "სიურპრიზებს" განსაკუთრებით მეორე ეტაპზე უნდა ველოდოთ), მაგრამ გარემო წინა სეზონთან შედარებით, აშკარად უფრო ჯანსაღია, დებულებაში ისიც მკაფიოდ არის დაფიქსირებული, ვინ ხდება ჩემპიონი ქულათა თანაფარდობისას და იმედია, ამჯერად ყველაფერი მოედანზე გადაწყდება და არა ფეხბურთის ფედერაციის ოფისში.

XX ტური

15 დეკემბერი

დინამო (ბთ)-დილა
ტორპედო-ვიტ ჯორჯია
მერანი-კოლხეთი
ზესტაფონი-სიონი
მეტალურგი-ჩიხურა
დინამო (თბ)-ზუგდიდი

XXI ტური

19 დეკემბერი

ჩიხურა-ტორპედო
დილა-კოლხეთი
დინამო (თბ)-მერანი
სიონი-მეტალურგი
ზუგდიდი-ზესტაფონი
ვიტ ჯორჯია-დინამო (ბთ)

XXII ტური

23 დეკემბერი

კოლხეთი-ვიტ ჯორჯია
მერანი-დილა
ზესტაფონი-დინამო (თბ)
დინამო (ბთ)-ჩიხურა
ტორპედო-სიონი
მეტალურგი-ზუგდიდი

ლევან ჯანეზაშვილი

● კოლხეთი

ენთუზიაზმი და იმედი

ფოთში ფულს ელოდებიან

ფოთის "კოლხეთი" ცხრილის ფსკერზე რომ არის, ამას თავისი მიზეზები აქვს, მთავარი კი ალბათ ფინანსური პრობლემაა.

ყოველთვის ასეა: როცა ცუდი რაღაცა ხდება, იქ ფინანსური კვალი აუცილებლად გამოჩნდება ხოლმე.

გუშინ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში უმაღლესი ლიგის კლუბების მორიგი შეხვედრა გაიმართა და "კოლხეთში" მიმდინარე ამბებზეც უსაუბრიათ.

ფოთი ქართული ფეხბურთის კარიბჭეა და თქმა რად უნდა, რომ ამ ქალაქისთვის კარგი საფეხბურთო გუნდის ყოლა ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა ბოლო წლებში ფოთში ფეხბურთი რიგიანად ვერ არის დანინაურებული.

"კოლხეთში" დაგვიდასტურეს, რომ მართლაც აქვთ ფინანსური პრობლემები, სექტემბრის აქეთ ხელფასები არ დარიგებულაო.

"კოლხეთში" მთავარი მწვრთნელი გამოიცვალა – **დათო მახარაძე სოსო ფილიამ** შეცვალა, მაგრამ უსახსრობის დროს მწვრთნელთა ცვლა წყლის ნაყვას უფრო ჰგავს, ვიდრე გაჭირვების ტალკვესს.

ქვეყანაში მომხდარი ცვლილებების შემდეგ "კოლხეთს" **თემურ ბარქაია** დაუბრუნდა. თავის დროზე სწორედ ბარქაიას მენეჯერობის პერიოდში "კოლხეთმა" რეგიონალური ლიგიდან უმაღლესში დაბრუნება მოახერხა, მერე კი კლუბისა და ბარქაიას გზები გაიყარა. სადღეისოდ ბარქაია კვლავ დაბრუნდა "კოლხეთში" და მმართველი დირექტორის თანამდებობა დაიკავა, თუმცა უხელფასობას ამანაც ვერ უშველა.

"კოლხეთი" ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ბალანსზეა და ცხადია, რომ ამ ეტაპზე შველას, პირველ რიგში, პატრონისგან ელის.

"კოლხეთში" განგვიმარტეს, რომ გუნდის ფეხბურთელები არ გაფიცულან, ვარჯიშობენ და დღეს "ბათუმთან" სათამაშოდაც გავლენო.

ენთუზიაზმი და იმედი – ჯერჯერობით ამის ამარადაა დარჩენილი "კოლხეთი".

დავით თავართქილაძე

12-თა საბჭო

სიონს მოედანი დაუნუნეს

ზესტაფონის მატჩი ბუნტმა გადადო



ბოლნისის სტადიონი დაცარიელდა

გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში უმაღლესი ლიგის კლუბების ხელმძღვანელთა, ანუ "12-თა საბჭოს" მორიგი სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

მართალია, ამ ორგანოს დაარსებისას ეფიქვა, რომ კლუბების წარმომადგენელთა დასწრება სავალდებულო იქნებოდა, მაგრამ სრული შემადგენლობის შეკრება ამჯერადაც ვერ მოხერხდა: თუ რუსთავის „მეტალურგისა" და ბათუმის „დინამოს" წარმომადგენელთა არყოფნა მოულოდნელი იყო, გორის „დილადან" უფლებამოსილი პირი არ გამოცხადდა.

თბილისის „დინამოს", „ვიტ ჯორჯიას", „ზესტაფონის", მარტვილის „მერანის", ქუთაისის „ტორპედოს", „სიონის", „ჩიხურას" და ფოთის „კოლხეთის" ხელმძღვანელებმა კენჭისყრით გადაწყვიტეს, რომ 2013 წლის თასის ფინალი 23 მაისს „მიხეილ მესხზე" გაიმართება.

როგორც ჩანს, „ზესტაფოხსა" და ფოთის „კოლხეთში" პრობლემები წარმოიქმნა. ყოველ შემთხვევაში, ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ საბჭოს წევრებმა სწორედ ამ გუნდებში ბოლო დღეებში განვითარებულ მოვლენებზე იმსჯელეს.

ფოთელებს ფინანსური პრობლემები აქვთ, ზესტაფონში კი ბუნტია. ამტკიცებენ, რომ "ზესტაფონში" ვითარება ჩემპიონატის ბოლო ტურში „ვიტ ჯორჯიასთან" მარცხის (1:2) გამო დაიძაბა. საქართველოს ჩემპიონი სატურნირო ცხრილში მე-6 ადგილზეა და ექვსეულში მოხვედრაც სათუო გაუხდა. შედეგით უკმაყოფილო კლუბის პრეზიდენტმა **ილია კოკაიამ** მოთამაშეები დააჯარიმა და ხელფასები გაუნახევრა. იმასაც ამტკიცებენ, რომ გუნდიდან **ზურაბ მამალაძე, ზაალ ელიავა, ზურაბ მენთეშაშვილი** და კაპიტანი **თორნიკე აფციაური** გაუშვაო. თუმცა, ჯერ კლუბში ამას უარყოფენ. ასეა თუ ისე, პროტესტის ნიშნად, ფეხბურთელებმა ვარჯიში ჩაშალეს.

კოკაიამ ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტსა და "12-თა საბჭოს" ჩემპიონატის დღევანდელ ტურში საჩხერეს "ჩიხურასთან" მატჩის გადადება სთხოვა – როგორც ბრძანა, შექმნილ ვითარებაში კარგად გარკვევისა და ვითარების დალაგების მიზნით. „ჩიხურას" ვიცეპრეზიდენტი **ბესო დანელია** მეტოქის პრეზიდენტის თხოვნას გაგებით მოეკიდა, ისევე როგორც ყველა სხვა კლუბის წარმომადგენელი და შეხვედრა 19 დეკემბრისთვის გადადეს.

თუმცა, მოგვიანებით, გუნდების ხელმძღვანელები კიდევ ერთხელ შეიკრიბნენ, რადგან რამდენიმე კლუბის სამწვრთნელო შტაბს გადაწყვეტილება არ მოეწონა. ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ, 12-ვე გუნდი ჩემპიონატის დარჩენილი ტურების კალენდრის ასეთ ვარიანტზე შეთანხმდა:

8 დეკემბერს, მე-19 ტურის ყველა მატჩი ჩვეულებისამებრ გაიმართება, "ჩიხურა" და "ზესტაფონი" კი 11 დეკემბერს ითამაშებენ. მე-20 ტურის მატჩები 12 დეკემბრის ნაცვლად, 15-ში გაიმართება; 21-ე ტური - 19 დეკემბერს (ნაცვლად 16-სა), ჩემპიონატი კი დაგეგმილ რიცხვში, 23 დეკემბერს (22-ე ტური) დამთავრდება.

მოვლენებს გავუსწრებთ და გეტყვით, რომ მედიასთან „ზესტაფონის" პრეზიდენტმა ილია კოკაიამ დაადასტურა მოთამაშეთა პროტესტი და გუნდის დაჯარიმება. ამ უკანასკნელს მთელ მსოფლიოში მიღებული პრაქტიკა უწოდა და ამტკიცებდა, რომ განსაკუთრებული არაფერი ხდება. რაც შეეხება მწვრთნელთა გაშვებაზე გავრცელებულ ხმებს, ეს მან უარყო.

არსებული პრობლემების მიუხედავად, "კოლხეთს" ბათუმის „დინამოსთან" მატჩის გადადება არ უთხოვია.

კლუბებმა მოიწონეს ინიციატივა და ამიერიდან უმაღლესი ლიგის გუნდებს სამი ლეგიონერის დამატებისთვის გადასახადი მოეხსნათ. გადასახადი ისედაც არავის უყვარს. მეორე მხრივ, არალოგიკურია მისი დაწესება საქართველოში, სადაც ლეგიონერებისგან ერთი ხეირიანი გუნდიც ვერ დაკომპლექტდება. ლეგიონერებზე ლიმიტი და გადასახადი კი ისეთ ქვეყნებში წესდება, სადაც მათი სიჭარბეა და ადგილობრივი მოთამაშეების ინტერესების დაცვას ცდილობენ. ცხადია, საბჭოს წევრებმა გადასახადის გაუქმებას მხარი ერთსულოვნად დაუჭირეს. საკითხს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის უახლოეს სხდომაზე განიხილავენ და თუ მისაღებად ჩათვლიან, ფედერაციის პრეზიდენტის, **ზვიად სიჭინავას** თქმით, ცვლილება 2013 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება. თუმცა, სიახლე პირველი და რეგიონული ლიგების კლუბებზე არ გავრცელდება: ადგილობრივი მოთამაშეების დასაქმებისა და გაზრდის მიზნით, ეს ბევრ ქვეყანაში მიღებული პრაქტიკაა და ჩვენს შემთხვევაშიც მისაღები ჩანს.

მესამე თემა: ფედერაციის კომისია მინდვრებს ყველა ტურის წინ ამოწმებს. მათი დასკვნით, ბოლნისის „სიონის" საშინაო არენის, „თამაზ სტეფანიას" საფარი მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს. ამის გამო, საბჭოს წევრებმა „სიონს" პირველ ეტაპზე დარჩენილი საშინაო მატჩების ბოლნისში გამართვა აუკრძალეს. ფეხბურთის ფედერაციამ "სიონს" თბილისის „დინამოსთან " (8 დეკემბერს) და რუსთავის „მეტალურგთან" (16 დეკემბერს) შეხვედრების ნეიტრალურ მოედანზე, „მიხეილ მესხზე" გამართვა შესთავაზა.

მერაბ მამულაშვილი

ევრო 2020

გაიმართება ევრო 2020-ის მატჩები თბილისში?

ზვიად სიჭინავა: უეფას პოლიტიკა გვაიმედებს

ცნობილია, რომ უეფას აღმასკომმა 2013 წლის ფუტსალის უეფას თასის ოთხთა ფინალის ჩატარება თბილისში გადაწყვიტა.

ამ ფაქტზე ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ განაცხადა, რომ ოთხთა ფინალი იქნება რეპეტიცია 2015 წლის ევროპის სუპერთასისთვის, რომელსაც ასევე თბილისი უმასპინძლებს.

ახლა მთავარზე: ზაფხულში, უეფას 60 წლისთავთან დაკავშირებით, ამ ორგანიზაციის პრეზიდენტმა **მიშელ პლატინიმ** ევროპის ჩემპიონატის რამდენიმე ქვეყანაში ჩატარების ინიციატივა წამოაყენა. საგანგებო პრესკონფერენციაზე უეფას გენერალურმა მდივანმა, **ჯანი ინფანტინომ** გაამხილა, რომ 2020 წლის ჩემპიონატი არა ერთ რომელიმე კონკრეტულ ქვეყანაში, არამედ ერთდროულად 12-ში გაიმართება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **ზვიად სიჭინავას** კომენტარი „ლელომ" ჩამოართვა – თავის მხრივ, 2015 წელს თბილისში გასამართავი სუპერთასის მატჩი ევრო 2020-ისთვის გამოცდა ხომ არ არის?

ზვიად სიჭინავა

"სავსებით შესაძლებელია, რადგან უეფა ევრო 2020-ის, ან ევრო 2024-ის მასპინძელ ქალაქებს შორის თბილისის კანდიდატურასაც განიხილავს. უეფას წარმომადგენლები ფუტსალში უეფას ოთხთა ფინალზეც გვესტუმრებიან, თბილისში გასამართი ასაკობრივი ნაკრებების შესარჩევ ტურნირებზეც და შეაფასებენ, გაცილებით მაღალი რანგის შეჯიბრებების სამასპინძლოდ ვართ თუ არა მზად. საკითხის დადებითად გადაწყვეტისთვის აუცილებელია ფეხბურთის ფედერაციის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფოს ერთობლივი, კოორდინირებული მუშაობა, რისი დიდი იმედიც მაქვს. საერთოდ კი მე ის ფაქტი მაიმედებს, რომ პლატინის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, უეფას დამოკიდებულება აღმოსავლეთ ევროპისა და პატარა ქვეყნების მიმართ რადიკალურად შეიცვალა. ცდილობენ, მაქსიმალურად წაახალისონ და ევროპის საფეხბურთო ცხოვრებაში ჩართონ. დღეს კი ფეხბურთში შეუძლებელი არაფერია. გუშინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ უეფაში წარდგენილი 5 პროექტიდან 3-ზე დადებით პასუხს მივიღებდით და ორი შესარჩევი ციკლისა და ოთხთა ფინალის მასპინძლობის უფლებას მოვიპოვებდით. ასევე არ არის წარმოუდგენელი, რომ ევრო 2020-ის, ან ევრო 2024-ის ერთ-ერთი მასპინძელი თბილისი გახდეს" – ამბობს ფედერაციის პრეზიდენტი.

სხვათა შორის, სააგენტო AP-სთან ინტერვიუში ზვიად სიჭინავამ გაამხილა, რომ ევროპირველობის რომელიმე ჯგუფის სამასპინძლოდ, შესაძლოა, საქართველო აზერბაიჯანს, თურქეთს, რუსეთს ან ბელარუსს შეუამხანაგდეს.

მერაბ მამულაშვილი

1 კვირის 1000 წვრილმანი

დავით თავართქილაძე

ლეგალური სუბსტანცია: შელავათები პრეზიდენტებს

რა არის რევოლუცია? რა არის ოპიუმი ხალხისთვის?

ამაზე საკუთარი აზრი ჰქონდა როგორც **ლენინს**, ისე **ჰემინგუეის**. დიდმა მწერალმა ეს ყველაფერი თავის ერთ-ერთ მოთხრობაში მიმოიხილა: მოთამაშე, მონაზონი და რადიო. ხოლო ლენინმა რევოლუციაზე და ოპიუმზე სად რა ილაპარაკა და დაწერა, ზუსტად აღარ მახსოვს.

არ ვიცი, პარადოქსია თუ არა, მაგრამ ლენინი და ჰემინგუეი ამ საკითხების მიმოხილვისას ერთმანეთთან ახლოს აღმოჩნდნენ. რევოლუცია ექსტაზია, მას და მის მონაპოვარს ყოველთვის სჭირდება ექსტაზები, რომ იარსებობს და დროს გაუძლოს – ასე ეგონათ ლენინსა და ჰემინგუეის მოთხრობის ერთ-ერთ გმირს. მათ ჯერ არაფერი იცოდნენ ექსტაზის აბების შესახებ, რომელსაც თინეიჯერები ხარბად ყლაპავენ დისკოთეკებზე, დიდხანს და მაგრად რომ იცეკვონ ცხადია, ჰემინგუეი და ლენინი სულ სხვა ექსტაზებს გულისხმობდნენ.

მაგრამ დრო ყოველთის როდია ულმობელი ცნობილი ან დიდი ადამიანების ნააზრევთან. პოსტრევოლუციის პირობებში ჩვენთან არ გამქრალან ეგრეთ წოდებული საბიუჯეტო საფეხბურთო კლუბები, არადა, ამ ანაქრონიზმს ზოგადად არანაირი კავშირი არ უნდა ჰქონოდა რევოლუციასთან და რეფორმებთან. მაგრამ ფეხბურთი საჭირო და აუცილებელი იყო, განსაკუთრებით რეგიონებში, სადაც უფრო ცოტაა ექსტაზი, ვიდრე დედაქალაქში ან სხვა დიდ ქალაქებში.

ფეხბურთის ოპიუმის თვისებაც უნდა ჰქონდეს. ხაშხაშიდან მიღებულ არალეგალურ სუბსტანციას არ ვგულისხმობ, თუმცა ფეხბურთიც ისეთია, თუ გემოს გაუგებ, მისგან ვერ გათავისუფლდები, მასზე დამოკიდებული ხდები. ასეთი რამეები არ ეშლებათ დიდ თუ პატარა დიქტატორებს, ამას დემოკრატიული რეჟიმებიც უწევენ ანგარიშს, თუნდაც იმიტომ, რომ მათთვის მთავარი პრიორიტეტი ადამიანის კომფორტული ცხოვრებაა.

თურქეთის პრემიერმა და პრეზიდენტმა თურგუთ ოზალმა 80-იან წლებში თავის ქვეყანაში ეკონომიკის და ფეხბურთის ტრანსფორმაცია მოახერხა, რაც ერთ-ერთი ყველაზე კარგი მაგალითია იმისა, თუ რა შეუძლია ხელისუფლების კეთილ ნებას და მიზანმიმართულ, ეფექტურ პოლიტიკას

რევოლუციის შემდეგ მორიგი ცვლილებები მოხდა ჩვენს ქვეყანაში და ჯერ უცნობია საბიუჯეტო კლუბების სამომავლო სვე-ბედი. ფოთის "კოლხეთში" ხელფასები ვეღარ რიგდება, სხვა საბიუჯეტო გუნდებსაც შეექმნათ პრობლემები, ზოგს დაფინასება ჯერაც უწყვეტად აქვს, თუმცა გაურკვეველია, რა და როგორ ექნებათ რამდენიმე თვის შემდეგ.

აღარც ექსტაზი და აღარც ოპიუმი – უფერულ ყოფას ჰგავს ეს ყველაფერი. თუ ეს არა, მაშინ რაღაც ახალია საჭირო, მაგრამ რა?

ალბათ ჯობია, რომ ფეხბურთით ისევ გაერთოს ხალხი, ფეხბურთით ისევ შეიქმნას იმის განცდა, რომ ქვეყანაში არაფერი არ ჩამკვდარა და რომ ყველაფერი კარგად იქნება.

არ იქნება ფეხბურთი და იქნება ბუნტი –ალბათ ასე კატეგორიულად არ დადგება საკითხი, მაგრამ შეფერხებები საფეხბურთო კლუბების დაფინანსებაში სასურველი არავისთვის არ უნდა იყოს.

ახლახან "ლელოში" გამოქვეყნდა ქუთაისის "ტორპედოს" პრეზიდენტის, **ლევან ფხაკაძის** კონცეფცია საქართველოში საკლუბო ფეხბურთის განვითარებასთან დაკავშირებით.

კონცეფცია მოიცავს ისეთი საკანონმდებლო ბაზის შექმნას, რომლითაც კერძო სექტორისთვის მიმზიდველი უნდა გახდეს საფეხბურთო კლუბის ყოლა. ვფიქრობ, ეს არის ერთადერთი სწორი გზა საქართველოში საკლუბო ფეხბურთის განვითარებისთვის. შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, ფეხბურთში მოსაქმე ბიზნესმენებისთვის საგადასახადო შეღავათების დაწესება მარტივი რამე ვერ იქნება, მაგრამ თუ ამის ნება გაჩნდა, შეუძლებელი არაფერი არ უნდა იყოს. ეს არაერთ მოწინავე ქვეყანაში აპრობირებული მეთოდია და ჩვენთან რატომ არ უნდა გაამართლოს?

ამ საკანონმდებლო ბაზის შექმნა იქნება პირველი მძლავრი, ეფექტური პარტნიორობა სახელმწიფოსა და ფეხბურთს შორის. სახელმწიფოს მიერ ფეხბურთის ფედერაციისთვის დოტაციური თანხის გაღება კი მრავალჯერადი ინექცია ვერ იქნება, თუნდაც იმიტომ, რომ ამას ის ეფექტი ვერ მოაქვს, რომ ფეხბურთი კომპლექსურად განვითარდეს.

ალბათ დადგა შესაფერისი დრო, რომ ფეხბურთი საქართველოში კონცეპტუალურად განვითარდეს. ჩვენ ყველაფერი ვიცით, როგორც ჩვენ გვინდა, ისე იქნება, ჩვენ ყველაზე ჭკვიანები და კარგები ვართ – ვინც ასე წაიყვანა საქმე, იმან კარგად ვერ დაამთავრა.

ექსტაზები კი აუცილებლად იქნება, საქართველოში ხომ საფეხბურთო საღერღელი ისევ აშლილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

U19

ბაჩო არაბული:

უმძიმეს ჯგუფში მოვხვდით

ბაჩანა არაბული

2014 წლის ევროპის ჩემპიონატის ელიტ რაუნდის მე-6 ჯგუფში საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ინგლისს, შოტლანდიასა და ბელგიას დაუპირისპირდება.

ორი აზრი არ არის, უმძიმესი ჯგუფია, საიდანაც ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლა ძნელი წარმოსადგენი ჩანს. იმავეს ფიქრობს **კახა კაჭარავას** გუნდის ლიდერი, **ბაჩო არაბული.** მაგრამ 17 წლის თავდამსხმელი მიიჩნევს, რომ შეუძლებელი არაფერია.

"ინგლისი, შოტლანდია და ბელგია ძლიერი მეტოქეები არიან და ასეთი ჯგუფიდან გასვლაზე ფიქრიც ძნელია. ინგლისის ეს თაობა 17-წლამდელთა შესარჩევშიც ჩვენი მეტოქე იყო და დღესაც კარგად მახსოვს, რა ძალის გუნდი იყო. მას შემდეგ ორი წელი გავიდა და ალბათ, უფრო გაძლიერდნენ. ინგლისელთა რამდენიმე ლიდერი პრემიერლიგაში თამაშობს. მაგალითად, სტერლინგი "ლივერპულშია", ნიკ პაუელი - "მანჩესტერში", სხვების კარიერაც კარგად წარიმართა.

ტურნირი ბელგიაში რომ ტარდება, ეს უკვე მასპინძლებს უპირატესობას აძლევს. შოტლანდიაზე არაფერი ვიცი, რა დონის გუნდია, რა მოთამაშეები ჰყავთ. მის დონეზე ელიტ რაუნდში მოხვედრა კარგად მეტყველებს. მაგრამ მაინც მგონია, რომ ჯგუფის ფავორიტები ბრიტანელები და ბელგია იქნებიან. იმედი მქონდა და კარგიც იქნებოდა, ჯგუფის მატჩები თბილისში რომ გამართულიყო, ასე ჩვენი შანსები გაიზრდებოდა. მაგრამ რას ვიზამთ. რაც არის, არის, უნდა ვიბრძოლოთ. ვასილ მაისურაძის 17-წლამდელთა ნაკრებს ბევრად უარესი მეტოქეები ჰყავდა, მაგრამ ესპანეთის, ინგლისისა და უკრაინის ჯგუფიდან ჩემპიონატის ფინალში გავიდა. ასე რომ, შანსი ყოველთვის არის, თუნდაც ყველაზე მძიმე ჯგუფში და ის უნდა გამოვიყენოთ" – ამბობს არაბული.

შეგახსენებთ, რომ ტურნირს ბელგია 2013 წლის გაზაფხულზე უმასპინძლებს - თამაშები 24, 26 და 29 მაისს ჩატარდება. თუმცა, ჯერ მატჩების კალენდარი არ დადგენილა.

მერაბ მამულაშვილი

ფუტსალი

ავთანდილ ასათიანი:

ბრაზილიელების დამატება მინდა, მაგრამ...

4 დეკემბერს უეფაში გამართულ კენჭისყრაზე ევრო-2014 წლის წინასწარ ეტაპზე (22-27 იანვარი) საქართველოს ნაკრები B ჯგუფში მალტასთან და მოლდოვასთან მოხვდა, ტურნირს კი მალტა უმასპინძლებს.

"ჯერ მივულოცავ "იბერიას" ოთხთა ფინალის მასპინძლობას. ეს არა მხოლოდ ჩვენი ჩემპიონის, არამედ მთელი საქართველოს წარმატებაა. რაც შეეხება ნაკრების მომავალ მატჩებს: რატომღაც ყველამ დაიწყო ლაპარაკი ელიტ რაუნდზე და რა შანსები გვექნება ჩეხეთთან, ბელარუსთან და ჰოლანდიასთან.. ძალიან მინდა, ყველას ვთხოვო, რომ ნუ ვიჩქარებთ. არ მინდა, რომ ამ ლაპარაკმა ბიჭებზე ცუდი გავლენა მოახდინოს. გასაგებია, რომ ბრაზილიასა და არგენტინას არ ვხვდებით, მაგრამ ჩვენი ამყამინდელი მეტოქეები მეტ პატივისცემას იმსახურებენ. მაგალითად, თბილისში გამართულ წინა შესარჩევი ციკლის ჯგუფურ ეტაპზე მოლდოვის ნაკრებს 2:2 ვეთამაშეთ და შემდეგ ეტაპზე ვერ გავედით. იგივე მალტა სერიოზული ძალა არ არის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ არასერიოზულად მივუდგეთ.

მე თავის დაზღვევას კი არ ვცდილობ, პირიქით, მიმაჩნია, რომ ამ ჯგუფიდან საქართველო აუცილებლად უნდა გავიდეს. მოლდოვასთან ისედაც ძველი ანგარიშები გვაქვს გასასწორებელი და უნდა დავუმტკიცოთ, რომ მასზე ძლიერი ნაკრები გვყავს. მაგრამ მეტოქეებს სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ და კარგად მოვემზადოთ. ბაქიბუქი არაფერს გვარგებს" – ამბობს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ავთანდილ ასათიანი.**

ფუტსალის ასოციაციის პრეზიდენტმა **ლევან ცქიტიშვილმა** განაცხადა, რომ საქართველოს ნაკრებში "იბერიას" ბრაზილიელების დამატება არ იგეგმება. ამ საკითხზე კომენტარი ასათიანსაც ჩამოვართვით: "ბრაზილიელთა ნატურალიზაციას არ ვაპირებთ. პორტუგალიაში ამ ქვეყნის ნაკრებთან მოგებით დამტკიცდა, რომ ფუტსალის თამაში ქართველებსაც შეგვძლებია და საკმაოდ პერსპექტიული ბიჭები გვყავს. მაგრამ ისე არ გაიგოთ, თითქოს ბრაზილიელების დანახვა არ მსურს. უბრალოდ, მათზე დაყრდნობა გაუმართლებელი იქნება. დღეს რომ ჩამოდიან, ხვალ მიდიან და უკრაინაში გადასულებს სად ვსდიო? მაგალითად, რონის სიამოვნებით ავიყვანდი, მაგრამ მე რაც ვიცი, კარიერას უკრაინაში გააგრძელებს. ამიტომ უცხოელთა ერთჯერად გამოყენებას, ქართველ მოთამაშეებზე დაყრდნობა და ნიჭიერი ახალგაზრდების დანინაურება მირჩევნია. სხვათა შორის, შესარჩევ ციკლამდე საერთაშორისო ტურნირზე მალტას, ინგლისსა და საბერძნეთს შევხვდებით და ბევრი ახალგაზრდა მოთამაშის გამოცდას ვაპირებ. დამიჯერეთ, ჩვენ მართლა კარგი მოთამაშეები გვეზრდებიან".

მერაბ მამულაშვილი

ავთანდილ ასათიანი

ქალთა ფეხბურთი. ინტერვიუ მაია ჯაფარიძესთან

სამართალს თუ ვერ ვიპოვი, უმუშევარი არ დავრჩები

მაია ჯაფარიძე ათი წლის წინათ გავიცანი, თუმცა მანამდე „ლოკომოტივის" სტადიონზეც მყავდა ნანახი — ცნობილი მნვრთნელი ნუკრი ჩიგოგიძე ავარჯიშებდა პატარა გოგონებთან ერთად. თანატოლებში გამოირჩეოდა. მახსოვს, მაშინ ნუკრიმ მითხრა, ნახე, ამ ბავშვებისგან რა ფეხბურთელები გავზარდოო. სამწუხაროდ, არ დასცალდა, ავტოკატასტროფაში დაიღუპა. ის ციცქნა გოგონაც თვალს მიეფარა. თუმცა მის გვარს ჯერ კიდევ 80-იანი წლების პრესაში მოვკარი თვალი, როცა „ივერიამ" ქალაქ კაშირაში ფეხბურთელ ქალთა საკავშირო ტურნირში გაზეთ „სობესედნიკის" პრიზზე პირველი ადგილი დაიკავა 20 გუნდს შორის. მაშინ გუნდის ღირსებას მაიასთან ერთად იცავდნენ ეკა შეშაბერიძე, შორენა მჭედლიშვილი, ნანა შუბითიძე, მაყვალა ამზოევა, ზინიკო ორჯონიკიძე, ინგა სულამანიძე, ქეთევან ოთარაშვილი, ირმა მიქაძე, ნანა გელბახიანი, ნუნუ სალდაძე, სვეტლანა კანტიევსკაია, მაია მინდიაშვილი, ინგა დოდელია, ნანა გიუნაშვილი, ინგა იუხანოვა, მწვრთნელი — ავრორა ტალახაძე.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 1991 წელს მაია ჯაფარიძე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ნაკრებში მიინვიეს, იქიდან კი კალუგის „კალუჟანკაში" აღმოჩნდა, 1999 წელს ვორონეჟის „ენერგიამ" გადაიბირა. 2003 წლამდე მის შემადგენლობაში ორჯერ რუსეთის ჩემპიონობა მოიპოვა. 1995-1998 წლებში რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებში გამოდიოდა. 1996 წელს სპორტის ოსტატობა მიანიჭეს.

რამდენიმე დღის წინათ ერთ-ერთ სპორტულ ღონისძიებაზე შევხვდი მაია ჯაფარიძეს. განვლილი ნლები გავიხსენეთ. ვიცოდი, ამერიკის ერთ-ერთ გუნდში ჰქონდა მინვევა. რატომ არ წახვედი-მეთქი, ვკითხე.

— დიახ, ნიუ ჯერსიში მიწვევდნენ. სწორედ იმ პერიოდს დაემთხვა „ლოკომოტივზე" ფეხბურთელთა ტურნირი. ერთ დღეს სტადიონზე ქვეყნის პრეზიდენტი ბატონი მიხეილ სააკაშვილი გვეწვია. ჩემი თავი გააცნეს. რომ შეიტყო, სპორტის ოსტატი ვიყავი, საქართველოში დარჩენა და ჩვენთან ქალთა ფეხბურთის აღორძინებაში მონაწილეობა შემომთავაზა. აბა, უარს როგორ ვეტყოდი.

— ვიცი, ქალთა ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტობაზეც იყო ლაპარაკი...

— მაშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ნოდარ ახალკაცი ჩაუდგა სათავეში. სწორედ მან შემომთავაზა ქალთა ფეხბურთის ხელმძღვანელობა. საამისოდ მზად არ ვიყავი — ასეთი პასუხისმგებლობა არ შემეძლო, საკუთარ თავზე ამეღო, რადგან მაშინ საქართველოში ქალთა ფეხბურთი მხოლოდ ენთუზიაზმის დონეზე არსებობდა. გადაწყდა, რომ 19-წლამდელთა ნაკრები ჩამომეყალიბებინა. დაუზარებლად შევუდექი საქმეს, რეგიონები მოვიარე. თანამოაზრეებთან ერთად „ბასაზე" 100-მდე ბავშვი გავსინჯეთ. ფაქტობრივად, ნაკრები ერთი კვირის ჩამოყალიბებული გვყავდა, 2005 წლის ევროპის პირველობის შესარჩევ ტურნირზე რომ გაგვგზავნეს.

— და რუსეთთან 0:21 წააგეთ. რა აუცილებლობა იყო, ასე მოუმზადებელი გუნდით შეჯიბრებაზე გამგზავრება?

— მეც მსგავსი კითხვით მივმართე ბატონ ნოდარ ახალკაცს. პროფესიონალი ფეხბურთელი ვარ და ვიცი, რომ ამგვარ ნაკრებს სრული კრახი ელოდა. წარმოიდგინეთ, ნაკრების ყველა წევრის სახელიც არ ვიცოდი ხეირიანად. ვთხოვე, ერთი წელი მაინც ეცლიათ. ბატონმა ნოდარმა მითხრა, საიდანღაც ხომ უნდა დავიწყოთ, თან ქალთა გუნდის საერთაშორისო სარბიელზე გაყვანას უეფა გვავალდებულებსო. იძულებული გავხდი, მოუმზადებელი გოგონები წამეყვანა შეჯიბრებაზე. სამწუხაროდ, სამივე მატჩი კატასტროფული ანგარიშებით წავაგეთ. სხვა შედეგს არც ველოდი.

— სათანადო დასკვნები თუ გააკეთეთ?

— მე რა, ეს ფედერაციის საქმე იყო. იქ კი მთელი წლის განმავლობაში იმ ჩინოვნიკებს, რომლებსაც ევალებოდათ, ქალთა ფეხბურთის გასავითარებლად ეზრუნათ, არაფერი გაუკეთებიათ. თუმცა, მაშინდელ გენერალურ მდივანს — უჩა უგულავას ვერ დავუკარგავ ამაგს — მისი ინიციატივით 19-წლამდელთა ნაკრებს ფორმები შეუძინეს და 2006 წელს ქობულეთში პირველი ეროვნული ჩემპიონატი ჩატარდა რვა გუნდის მონაწილეობით. იმ პერიოდში გავიცანი გოჩა ძასოხოვი, რომელმაც „ნორჩი დინამოელის" ბაზაზე უსასყიდლოდ გამომიყო მოედანი. ასე რომ, გოგონებისთვის ერთი თეთრიც არ გადაგვიხდევინებია. ჩამოვაყალიბეთ ქალთა საფეხბურთო კლუბი „დინამო", რომელმაც 2007 წელს ჩემპიონთა ლიგაზე იასპარეზა. გუნდის ეკიპირება ფედერაციამ შეგვიძინა.

— როგორც ვხედავ, ბევრი გიშრომია...

— 2005-2008 წლებში სამი ნაკრები ჩამოვაყალიბე — 17 და 19-წლამდელთა და ეროვნული, ასევე, ქალთა საფეხბურთო კლუბი „დინამო". თანაც ჩვენმა გოგონებმა ფეხბურთს გემო გაუგეს, აზერბაიჯანელებს რამდენიმე მატჩი მოვუგეთ, 19-წლამდელთა ნაკრებს ფრე ვეთამაშეთ...

— ამგვარი საქმიანობის შემდეგ საყვარელი საქმისთვის თავის დანებება რამ გაიძულათ?

— არც დამინებებია თავი. აი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის 2008 წლის 1 ივლისის ბრძანება, რომელსაც უჩა უგულავა აწერს ხელს: „შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლასთან დაკავშირებით თანამდებობიდან გათავისუფლდეს სფფ-ს ქალთა ფეხბურთის ინსტრუქტორი მაია ჯაფარიძე". — აი, ასე ჩამომაშორეს ქართულ ფეხბურთს. თურმე მხოლოდ ინსტრუქტორი ვყოფილვარ და არა ნაკრების ხელმძღვანელი. მიზეზების გარკვევას ვცდილობ, მაგრამ დღემდე სასურველ შედეგს ვერ მივაღწიე.

— ფედერაციის ამჟამინდელ პრეზიდენტს თუ სთხოვე დახმარება?

— რა თქმა უნდა... ორიოდე წლის წინათ, როცა ბატონი ზვიადი სფფ-ს თავკაცად აირჩიეს, ჩემი საბუთებით მივედი მასთან, გულისტკივილი შევჩივლე და თანამშრომლობა შევთავაზე. შემპირდა, სიტუაციაში გავერკვევი და შეგეხმიანებიო. დღემდე ველოდები პასუხს.

— ამ ხნის განმავლობაში სად მუშაობდი?

— არსად, თუმცა ინგლისსა და აზერბაიჯანში მიწვევდნენ. ჯერჯერობით თავს ვიკავებ. ერთი რომ პრინციპის საქმეა, მეორეც — თუ რამე შემიძლია, უპირველესად, სამშობლოს მინდა გამოვადგე. სამართალს თუ ვერ ვიპოვი, მაშინ, ცხადია, უმუშევარი არ დავრჩები.

— ჩვენთან დღევანდელ ქალთა ფეხბურთში რა მდგომარეობაა?

— ეროვნული ჩემპიონატი არ ტარდება, ჩემ მიერ სიმწრით შექმნილი 19-წლამდელთა ნაკრები დაშალეს, კლუბი ჩემპიონთა ლიგაშიც აღარ მონაწილეობს. რამდენჯერმე ჩემი ყოფილი შეგირდები შემეხმიანენ — მთხოვეს, ქართულ ფეხბურთს დავუბრუნდე. მეც ამაზე ვოცნებობ, მაგრამ ვერ გამიგია, ფეხბურთის ფედერაციისთვის რატომ ვარ მიუღებელი. ამიხსნან მაინც, რას მიწუნებენ. იქნებ პროფესიონალად არ მიმიჩნევენ.

— ამდენი გულისტკივილის შემდეგ ფეხბურთიდან თუ რამე გრჩება სასიამოვნო მოგონებად?

— „ენერგიასთან" ერთად ოთხჯერ ვიყავი საზვრთნელ შეკრებაზე პორტუგალიაში, კერძოდ, ალბუფეირაში, ფიგუს რეზიდენციასთან ახლოს. ერთხელ იქაურ ჩემპიონს დიდი ანგარიშით ვძლიეთ. ოთხი ბურთი მე გავიტანე. იმ მატჩს ლეგენდარული ეუსებიო ესწრებოდა. შეხვედრის შემდეგ გამარჯვება მოგვილოცა და ჩვენთან სამახსოვრო სურათი გადაიღო. შესაძლოა, ბევრი სხვაც იყოს კეთილად მოსაგონარი, მაგრამ ეს წარსულია. ახლა კი სხვა მიზანი მაქვს — ვემსახურო სამშობლოს და ქართულ ფეხბურთს.

ვაჟა დანელია

1989 წელი. თბილისის „მეტეხი". პირველ რიგში მარცხნიდან მეორე მაია ჯაფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა. XV ტურის წინ

თუკი რომელიმე კლუბს „ბარსელონას“ მარშით სვლის შეჩერება შეუძლია, უთუოდ ერთ-ერთი „ბეტისიცაა“. არ დაგვავიწყდეს, რომ ახლახან სევილიურმა კლუბმა „რეალს“ მოუგო. ასე რომ, მე-15 ტური კვირა საღამოს ლა ლიგაში წონიანი თამაშით მთავრდება, რასაც ვერ ვიტყვით მანამდე გასამართ შეხვედრებზე. „ბეტისი“-“ბარსელონამდე“ ჩემპიონი სტუმრობს „ვალიადოლიდს“, ხოლო „ბარსას“ მდევარი „ატლეტიკო“ წყალწაღებულ „დეპორტივოს“ მასპინძლობს.

რაც შეეხება ტურის მთავარ კითხვას, მასზე პასუხი თავად ლეო მესის არ აქვს და აბა ჩვენ რა გიპასუხოთ: „ნამდვილად არ ვიცი, შევძლებ თუ არა კვირას თამაშს“, - ამბობს არგენტინელი.

მთავარი კითხვა: მესი NO თუ მესI

ჩემპიონი ჩემპიონატზე გადაეწყობა, გვიანი ხომ არ არის?

ლიონელ მესიმ თავად არ იცის, ითამაშებს თუ არა ხვალ სევილიაში

ესპანიოლი-სევილია 2:2

დღეს

სოსიედადი-ხეტაფე 19:00

დისკვალიფიკაცია: ველა - კასტრო
ტრავმა: კადამურო, ზურუტუზა (?), ელუსტონდო, იფრანი (?), ბერგარა - ლოპესი

ბოლო 6 მაჯრი

+3=2-1 +4=0-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 10 თამაში: +2=4-4, (8-10)

მალაგა-გრანადა 21:00

ტრავმა: ბაპტიშტა, ტულალანი, მონრეალი - ფ. რიკო, იებდა

ბოლო 6 მაჯრი

+1=2-3 +1=1-4

ურთიერთშეხვედრები

სულ 2 თამაში: +1=0-1, (5-2)

ვალიადოლიდი-რეალი 23:00

ტრავმა: რუედა - ფ. კოენტრაო (?), მარსელო, ალბიოლი, იგუანინი

ბოლო 6 მაჯრი

+3=2-1 +5=0-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 30 თამაში: +4=9-17, (29-65)

ოსასუნა-ვალენსია 01:00

დისკვალიფიკაცია: ჟონასი (ვალ)
ტრავმა: მასუდი, სოლა (?), სისი - მატიო, კანალესი, პერეირა (?)

ბოლო 6 მაჯრი

+2=2-2 +2=1-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 26 თამაში: +5=8-13, (17-34)

ხვალ

ლევანტე-მალიორკა 15:00

დისკვალიფიკაცია: დიოპი, ხუანლუ (ლევ)
ტრავმა: დუდკა, როდასი (?), რიოსი - ჟ. ვიქტორი

ბოლო 6 მაჯრი

+2=2-2 +0=2-4

ურთიერთშეხვედრები

სულ 12 თამაში: +2=3-7, (10-17)

ბილბაო-სელტა 20:00

დისკვალიფიკაცია: იტურასპე - კაბრალი
ტრავმა: ირაოლა, გალარეტა, პერესი, გურპეგი - ლოპესი, ლიორკა

ბოლო 6 მაჯრი

+2=1-3 +1=3-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 26 თამაში: +10=10-6, (35-32)

აჯლეტიკო-დეპორტივო 22:00

დისკვალიფიკაცია: მირანდა - აიტამი
ტრავმა: ფილიპე ლუიში (?), როდრიგესი - კასტრო, საული, ოლივეირა, მარჩენა, პიცი

ბოლო 6 მაჯრი

+4=0-2 +1=2-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 33 თამაში: +14=8-11, (45-39)

გეტაფი-ბარსელონა 00:00

ტრავმა: მარტინესი, ხუან კარლოსი (?) - აბიდალი, მესი (?), კვენკა, მუნიესა

ბოლო 6 მაჯრი

+4=0-2 +6=0-0

ურთიერთშეხვედრები

სულ 34 თამაში: +8=8-18, (44-82)

ზეგ

ჯალეკანო-სარაგოსა 00:00

დისკვალიფიკაცია: ლოოვენსი (სარ)
ტრავმა: როდრი, კარლოსი - არანდა, ობრადოვიჩი, ლანძარო

ბოლო 6 მაჯრი

+3=0-3 +2=1-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 16 თამაში: +3=6-7, (22-32)

შენიშვნა: *+ მოგება, = ფრე, - წაგება () ბურთების სხვაობა*

შენიშვნა: *ურთიერთშეხვედრები ჩემპიონატისა და თასის მატჩები 1994 წლიდან*

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ბარსელონა	14	13	1	0	48-16	40
2. ატლეტიკო	14	11	1	2	29-13	34
3. რეალი	14	9	2	3	34-10	29
4. ბეტისი	14	8	1	5	23-24	25
5. მალაგა	14	6	4	4	19-10	22
6. ხეტაფე	14	7	1	6	17-19	22
7. ვალიადოლიდი	14	6	3	5	20-15	21
8. ლევანტე	14	6	3	5	16-21	21
9. სოსიედადი	14	6	2	6	21-18	20
10. სევილია	15	5	4	6	21-22	19
11. ვალენსია	14	6	1	7	18-30	19
12. ვალენსია	14	5	3	6	18-23	18
13. სარაგოსა	14	5	1	8	16-23	16
14. სელტა	14	4	3	7	16-19	15
15. ბილბაო	14	4	3	7	19-32	15
16. ოსასუნა	14	3	4	7	12-15	13
17. მალიორკა	14	3	4	7	14-23	13
18. გრანადა	14	3	3	8	11-20	12
19. ესპანიოლი	15	2	5	8	15-24	11
20. დეპორტივო	14	2	5	7	21-31	11

ბომბარდირები: 21 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 13 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 8 - არიც ადურისი (ბილბაო), რუბენ კასტრო (ბეტისი).

ქულები, ქულები და მხოლოდ ქულები

„ლოს ბლანკოსი“ 11 ქულით ჩამორჩება „ბარსას“, გუნდის მწვრთნელი **ჟოზე მოურინიო** დიდ წნეხშია, განსაკუთრებით კი ესპანური პრესის ლიდერი „მარკასგან“, რომელიც რეალურად „ამინდს ქმნის“ „სამეფო კლუბთან“ დაკავშირებულ სიტუაციებში. ეს ყველაფერი ცუდია „რეალისთვის“, კარგი კი ისაა, რომ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი დასრულებულია და მოურინიოსა და კომპანიას მეორე ფრონტზე დროებით ფიქრი არ მოუნევს (ყოველ შემთხვევაში, 20 დეკემბრამდე, როცა ისინი პლეი ოფში მეტოქის ვინაობას შეიტყობენ).

ჟოზე მოურინიოს იმის ფუფუნებაც ჰქონდა, „აიაქსთან“ მატჩში რამდენიმე ძირითადი ფეხბურთელი დაესვენებინა, ასე რომ, „ვალიადოლიდთან“ სტუმრობისას „რეალის“ შემადგენლობა ძირფესვიანად შეიცვლება. დაცვის ხაზში სასტარტო შემადგენლობას დაუბრუნდებიან **სერხიო რამოსი, პეპე** და **ალვარო არბელოა**, კარში ისევ კაპიტანი **იკერ კასილიასი** ჩადგება (ჰოლანდიელებთან **ადანმა** ითამაშა). აი, მარცხენა ფლანგს რაც შეეხება, იქ კითხვები რჩება - „აიაქსთან“ შეხვედრაში **ფაბიო კოენტრაო** დაშავდა, თუ ის ვერ შეძლებს, (და ალბათ ასეც იქნება), „ვალიადოლიდთან“ თამაშს, სასტარტოში შეიძლება **ნაჩო** ვიხილოთ, რადგან ბრაზილიელი **მარსელო** ჯერაც არ გამოჯანმრთელებულა.

საყრდენად **ჩაბი ალონსო** ბრუნდება, უფრო შემტევი ფუნქციები კი **ლუკა მოდრიჩს** დაეკისრება, მარჯვენა ფლანგზე **ანხელ დი მარია** ალბათ შეცვლის **ხოსე კალეხონს**. ეს ცვლილება ცოტა ალოგიკური კი ჩანს: არგენტინელი აშკარად არ არის ფორმაში, ესპანელი გარემარბი კი დაფრინავს. „რეალს“ კვლავ **ქარიმ ბენზემას** იმედზე უწევს ყოფნა შეტევის წვერზე, რადგან **გონსალო იგუანინი** ჯერაც მკურნალობს.

„რეალ ვალიადოლიდს“ ორი მნიშვნელოვანი ფეხბურთელი, **მანუჩო** და **მარკ ვალიენტე** გამოუჯანმრთელდა. „სევილიასთან“ დაშავდა მცველი **ხესუს რუედა** და ის 100%-ით ვერ ითამაშებს „სამეფო კლუბის“ წინააღმდეგ.

სავარაუდო შემადგენლობები

ვალიადოლიდი: *ერნანდესი - რუკავინა, სერანო, ვალიენტე, ბალენსიაგა - პერესი, ალვარო - ებერტი, ოსკარი, ომარი - მანუჩო.*

რეალი: *კასილიასი - არბელოა, სერხიო რამოსი, პეპე, ნაჩო - ჩაბი ალონსო, ხედირა - დი მარია, მოდრიჩი, რონალდო - ბენზემა.*

* ბოლო მატჩი ამ გუნდებს შორის ვალიადოლიდში სტუმართა გამარჯვებით დასრულდა - 4:1. ერთი გოლი **კრიშტიანო რონალდომ** გაიტანა, ხოლო იგუაინმა ჰეთთრიკი შეასრულა.

* ელიტაში დაბრუნებული „ვალიადოლიდი“ იმაზე უკეთესად თამაშობს, ვიდრე ექსპერტებს ეგონათ - 21 ქულით გუნდი მე-7 ადგილზეა და სულ რაღაც 4 ქულა აშორებს ჩემპიონთა ლიგის ზონას.

* „პუსელას“ ბომბარდირი ნახევარმცველი **ოსკარ გონსალესია**, 30 წლის ფეხბურთელს 14 ტურში 7 გოლი აქვს გატანილი.

* **მიროსლავ ჯუკიჩმა** ეს გუნდი ლა ლიგაში პლეი ოფის დახმარებით ამოიყვანა, სეგუნდა დივიზიონში „ვალიადოლიდმა“ მე-3 ადგილი დაიკავა.

ვისი უნდა ეშინოდეს ბარსას

იმაზე უკვე ვწერდით, რომ, საბედნიეროდ, **ლეო მესის** ტრავმა, რომელიც მან ჩემპიონთა ლიგის მატჩში, ლისაბონის „ბენფიკას“ წინააღმდეგ მიიღო, არც ისე სერიოზული გამოდგა, როგორც თავიდან ჩანდა. თუმცა ხვალისთვის არგენტინელი მზად იქნება სათამაშოდ თუ არა, ჯერ უცნობია. ეს არ იცის თავად 25 წლის ვარსკვლავმა და არც „ბარსას“ ექიმებმა იციან. საბოლოო დასკვნას ისინი დღეს იტყვიან. შეგახსენებთ, რომ 2012 წელს მესის ანგარიშზე 84 გოლია, ერთიათ ნაკლები, ვიდრე **გერდ მიულერის** 1972 წლის რეკორდი - 85 გოლი.

„ბარსას“ დღევანდელმა მეტოქემ ორი ტურის წინ დიდი სირცხვილი ჭამა - სევილიურ დერბიში 1:5 წააგო, თუმცა ამის მერე „ბეტისმა“ „რეალს“ მოუგო, შემდეგ კი „დეპორტივო“ სტუმრად დაამარცხა, მე-4 ადგილზე აღმოჩნდა და მომავალს იმედით ელის.

ვისი გამორჩევა შეიძლება დღევანდელ „ბეტისში“? უპირველესად ეს ფორვარდი **რუბენ კასტროა**, რომელმაც ლა ლიგაში უკვე 8 გოლი გაიტანა. დიდი წვლილი მიუძღვნის „ბეტისის“ წარმატებაში ბასკ პლეიმეიქერ **ბენიატ ეჩებარიას**, „რეალის“ კარში ერთადერთი გოლის ავტორს. გასულ თვეში ბენიატს ესპანეთის ეროვნულ ნაკრებში ჰქონდა დებიუტი.

სხვა მატჩები

ტური გუშინ ბარსელონაში დაიწყო - ერთ დროს სახელიანი „ესპანიოლისა“ და „სევილიას“ მატჩით, ორივე გუნდი ახლა ცხრილის ქვედა ნახევარშია. სამაგიეროდ, „რეალ სოსიედადი“ და „ხეტაფე“ კარგად ასპარეზობენ ამ სეზონში, ასე რომ, მათი მატჩი „ანოეტაზე“ ურიგო არ უნდა გამოდგეს. „მენიუში“ გვაქვს ერთი ანდალუსიური დერბიც - „მალაგა“ „გრანადას“ მასპინძლობს. **ერნესტო ვალვერდეს** დებიუტს „ვალენსიას“ თავკაცის პოსტზე პამპლონაში ვიხილავთ, „ლევანტე“ „მალიორკას“ მიიღებს, რომელმაც ბოლოს მოახერხა და 27 შესაძლებელიდან 2 ქულა აიღო მხოლოდ. ზეგ ტური მადრიდში დასრულდება - „ელვები“ „სარაგოსას“ უმასპინძლებენ.

რეალი

ფლორენტინო პერესი და ჟოზე მოურინიო

ფლორენტინო პერესი: რეალს უკვე ჰყავს მწვრთნელი და ის 2016 წლამდე აქ იქნება

უკვე მერამდენედ ხდება ასე - „სამეფო კლუბი“ უარყოფს „მარკას“ მიერ აგორებულ ამა თუ იმ ჭორს. ეს გაზეთი მას შემდეგ გააქტიურდა ამ კუთხით, რაც მადრიდელთა თავკაცად **ჟოზე მოურინიო** დაინიშნა, რომელიც აშკარად არ უწევს ანგარიშს ესპანეთში ავტორიტეტულ გამოცემას. მართალია, ცოტა დაგვიანებით, მაგრამ მაინც, „რეალის“ პრეზიდენტმა **ფლორენტინო პერესმა** ბოლო დროს გავრცელებულ ხმებს გასცა პასუხი - მოურინიო არსადაც არ მიდის, არც ახლა და არც სეზონის დასრულების შემდეგ. „რეალის“ პრეზიდენტმა პორტუგალიური „ა ბოლას“ ჟურნალისტ **მანუელ პერეირას** უთხრა: *„მოურინიო ჩემი გუნდის მწვრთნელია, სულ მცირე 2016 წლამდე“.*

სავარაუდოდ, მომავალ კვირაში ფლორენტინო პერესი „რეალ მადრიდ ტვ-ის“ საშუალებით ძალიან ბევრ კითხვას გასცემს პასუხს და მათ შორის მწვრთნელის საკითხსაც. ახლა უკვე „მარკაც“ კი ვარაუდობს, რომ „რეალის“ თავკაცს უფლებამოსილებას გაუზრდიან გარკვეულ საკითხებში. ანუ ამ ალიაქოთიდან გამარჯვებული ისევ მოურინიო გამოვიდა?

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

● გერმანია. ბუნდესლიგა. XVI ტური წინ

სრული კონცენტრაცია ბუნდესლიგაზე

ბაიერნი აუგსბურგში, შალკე შტუტგარტში, დორტმუნდი ვოლფსბურგთან

შალკემ, დორტმუნდმა და ბაიერნმა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი პირველ ადგილებზე დაასრულეს

ბუნდესლიგის მე-16 ტური გუშინ მარკუს ბაბელის გარეშე დარჩენილმა „ჰოფენჰაიმმა“ ჰამბურგში გასვლითი მატჩით დაიწყო. დღეს ყურადღების ცენტრში ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გასული სამივე გერმანული კლუბი მოექცევა: დორტმუნდის „ბორუსია“ „ვოლფსბურგს“ ელის, „შალკე“ „შტუტგარტს“ სტუმრობს, „ბაიერნი“ კი აუგსბურგში ითამაშებს.

გუშინ

ჰამბურგი-ჰოფენჰაიმი 2:0

დღეს

ბორუსია (დ)-ვოლფსბურგი 18:30

ტრავმა: ლიოვე, ოვომოიელა, ს. ბენდერი, კელი - პილარი, ჰელმესი

ბოლო 6 მატჩი

+3=3-0 +2=2-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 30 თამაში: +17=7-6, (58:36)

შტუტგარტი-შალკე 18:30

დისკვალიფიკაცია: ტასკი (შტუტგარტი)

ტრავმა: კვისტი, კაკაუ, თორუნი - პაპადოპულოსი, აფელაი, ჰოგერი

ბოლო 6 მატჩი

+3=1-2 +1=2-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 84 თამაში: +39=14-31, (137:101)

ნიურნბერგი-ფორტუნა 18:30

ტრავმა: შტეფანი, ჰლუშეკი, კოტაკი, მენდლერი - ბრუნო სუარესი, ლანგენეკე, მალეზასი

ბოლო 6 მატჩი

+2=2-2 +2=2-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 22 თამაში: +11=7-4, (46:35)

ფრაიბურგი-ფიურტი 18:30

დისკვალიფიკაცია: დიანიე, შუსტერი - შმიდტგალი, სარარერი

ტრავმა: გინტერი, ჰიონი, კალვენტე, ტერაცინო, ფრაისი - ნდოიე, ტირალა, ედუ

ბოლო 6 მატჩი

+2=3-1 +0=2-4

ბუნდესლიგაში არ უთამაშიათ

აუგსბურგი-ბაიერნი 18:30

ტრავმა: იენტცში, ოსტრცოლეკი, რაინჰარდტი, ვერპეგი - ბადშტუბერი, ჩანი, ლუის გუსტავო, რობენი

ბოლო 6 მატჩი

+0=2-4 +4=2-0

ურთიერთშეხვედრები

სულ 2 თამაში: +0=0-2, (2:4)

აინტრახტი-ვერდერი 21:30

დისკვალიფიკაცია: მატმური (აინტრახტი)

ტრავმა: ამედიკი, ანდერსონი - ვოლფი, ბარგფრედე, ჰანგი

ბოლო 6 მატჩი

+1=2-3 +3=1-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 84 თამაში: +29=17-38, (118:138)

ხვალ

ბორუსია (მ)-მაინცი 18:30

დისკვალიფიკაცია: ვეტკლო (მაინცი)

ტრავმა: დემსი - ბუნგერტი, ედე, ჩუპამოტინგი

ბოლო 6 მატჩი

+2=3-1 +3=0-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 12 თამაში: +4=3-5, (12:14)

პანოვერი-ლევერკუზენი 20:30

დისკვალიფიკაცია: ჰაგი (პანოვერი)

ტრავმა: ფელიპე, ანდრეასენი, შტინდლი - კადლეცი, შვაბი, ბელარაბი

ბოლო 6 მატჩი

+3=0-3 +5=0-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 26 თამაში: +4=9-13, (25:47)

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ბაიერნი	15	12	2	1	41-6	38
2. ლევერკუზენი	15	9	3	3	28-19	30
3. ბორუსია (დ)	15	7	6	2	30-16	27
4. შალკე	15	7	4	4	25-19	25
5. აინტრახტი	15	7	3	5	27-26	24
6. ჰამბურგი	16	7	3	6	18-18	24
7. მაინცი	15	7	2	6	21-18	23
8. შტუტგარტი	15	6	4	5	17-24	22
9. ვერდერი	15	6	3	6	26-24	21
10. ბორუსია (მ)	15	5	6	4	22-25	21
11. ფრაიბურგი	15	5	5	5	20-17	20
12. ჰანოვერი	15	6	2	7	28-27	20
13. ფორტუნა	15	4	6	5	18-19	18
14. ნიურნბერგი	15	4	4	7	14-21	16
15. ვოლფსბურგი	15	4	4	7	14-23	16
16. ჰოფენჰაიმი	16	3	3	10	22-38	12
17. აუგსბურგი	15	1	5	9	11-26	8
18. ფიურტი	15	1	5	9	10-26	8

ბომბარდირები: 9 – კისლინგი (ლევერკუზენი), ლევანდოვსკი (ბორუსია /დ/), მანჯუკიჩი (ბაიერნი), ა. მაიერი (აინტრახტი), სალაი (მაინცი); 8 – თ. მიულერი (ბაიერნი)

დორტმუნდი ისევ პირველი გვარდიით

გერმანული კლუბები ჩემპიონთა ლიგაში არნახულად კარგად ასპარეზობენ: ჯგუფური ეტაპი ბუნდესლიგის სამივე წარმომადგენელმა წარმატებით გადალახა და თანაც, მერვედფინალში სამივე პირველი ადგილით გავიდა. განსაკუთრებით დასაფასებელი გერმანიის მოქმედი ჩემპიონის, „დორტმუნდის“ წარმატებაა - **იურგენ კლოპის** შეგირდებმა მადრიდის „რეალის“, „მანჩესტერ სიტისა“ და ამსტერდამის „აიაქსის“ კომპანიაში მოახერხეს პირველი ადგილის დაკავება. ამ კვირაში „ბორუსიამ“ „სიტი“ 1:0 დაამარცხა. ხსენებულ მატჩში კლოპმა თავს ექსპერიმენტული შემადგენლობით თამაშის უფლება მისცა, რადგან დორტმუნდელებს პირველი ადგილი თამაშამდევე განაღდებული ჰქონდათ. **რობერტ ლევანდოვსკიმ, იაკუბ ბლაშჩიკოვსკიმ** და **მარკო როისმა** მხოლოდ ცოტა ხანს ითამაშეს, **ლუკაშ პიშჩეკი** და **მარიო გიოტცე** კი მოედანზე საერთოდ არ გამოჩენილან. ამრიგად, „ვოლფსბურგთან“ საშინაო მატჩს დორტმუნდელები დასვენებულები ხვდებიან.

მართალია, მეორე შემადგენლობის ფეხბურთელებმაც დაამტკიცეს, რომ სანდონი არიან (ეს განსაკუთრებით „სიტის“ კარში გატანილი გამარჯვების გოლის ავტორ **იულიან შიბერზე** ითქმის), მაგრამ ფაქტია, რომ კლოპი დღეს ისევ ძირითად გვარდიას მიენდობა. ოდნავ საეჭვო მხოლოდ გიოტცეს ასპარეზობაა, რომელსაც მცირე ტრავმა აწუხებს.

რაც შეეხება „ვოლფსბურგს“: **ფელიქს მაგათის** გათავისუფლების შემდეგ „მგლები“ ჯერ გამოსწორდნენ, მერე კი ისევ აურიეს და მაინც არასასურველ მე-15 ადგილზე არიან.

ჰილდებრანდი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ

ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში ნაგების გარეშე და ასევე პირველი ადგილით გააღწია „შალკემაც“. გელზენკირხენელები მონპელიეში რომ არ დამარცხდნენ (1:1), ეს მათი მეკარე **ტიმო ჰილდებრანდის** დამსახურებაა. მატჩის შემდეგ „შალკეს“ მწვრთნელმა **ჰუუბ სტევენსმა** ჰილდებრანდი განსაკუთრებით აქო, რითაც კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ ახლა „ხუმარების“ პირველი მეკარე სნორედ 33 წლის ტიმოა. შესაბამისად, ცხადია, რომ „შალკეს“ კარს დღესაც ჰილდებრანდი დაიცავს, რაც იმას ნიშნავს, რომ ტიმო თავის კარიერაში პირველად ითამაშებს ყოფილი კლუბის, „შტუტგარტის“ წინააღმდეგ. შეგახსენებთ, რომ საფეხბურთო სამყაროს ჰილდებრანდი სნორედ შვაბენლანდური კლუბიდან გაიცნო.

„შტუტგარტმა“ გერმანიის მიმდინარე ჩემპიონატში პირველად მოიგო ზედიზედ ორი მატჩი, ევროპალიგაში კი „მიოლდესთან“ 0:1 დამარცხდა, თუმცა ჯგუფიდან მაინც გავიდა. ამრიგად, ევროსარბიელიდან ჯერ არც ერთი გერმანული კლუბი არ გავარდნილა - შვიდივე პლეი ოფშია. შვაბთა მწვრთნელი **ბრუნო ლაბადია** დღეს დისკვალიფიცირებულ კაპიტან **სერდარ ტასკის** ვერ გამოიყენებს.

ბაიერნი აუგსბურგში

შემოდგომის ჩემპიონობა „ბაიერნმა“ ორი კვირის წინ გაინაღდა და „დორტმუნდთან“ 1:1-ის შემდეგ ისევ კომფორტული უპირატესობით ლიდერობს. მიუნხენელებს ხასიათი მხოლოდ **ჰოლგერ ბადშტუბერის** მძიმე ტრავმამ წაუხდინა. ბატე-სთან 4:1-ის შემდეგ ბავარიელები ბუნდესლიგის ერთ-ერთ აუტსაიდერ „აუგსბურგს“ სტუმრობენ. ამ გუნდს რვამატჩიანი მოუგებელი სერია აქვს, რის გამოც მწვრთნელი **მარკუს ვაინცირლი** უკვე უმძიმესი წნეხის ქვეშაა მოქცეული. აუგსბურგელები „ბაიერნთან“ მარცხენა მცველ **ოსტროლეკს** მოისაკლისებენ. აქვე ერთი საინტერესო სტატისტიკაც: ბუნდესლიგის სხვა არც ერთ კლუბს არ მიუღია პირველ 15 წუთში იმდენი გოლი, რამდენიც „აუგსბურგმა“ გაუშვა (6).

ფრაიბურგის დაცვა ერთ-ერთი საუკეთესოა

„აუგსბურგის“ დარად, მძიმე სიტუაციაა „ფიურტშიც“. იმისათვის, რომ ფიურტელთა დებიუტი ელიტაში სრული ფიასკოთი არ დამთავრდეს, **მაიკ ბიუსკენსის** გუნდს სასწრაფოდ შედეგების გამოსწორება სჭირდება. დღეს „ფიურტი“ „ფრაიბურგს“ სტუმრობს და თამაში მარცხენა მცველის, **შმიდტგალის** გარეშე მოუწევს, რომელსაც სავარაუდოდ განელი **ბაბა** შეცვლის. ბრაისგაუელებს **დიანიე** და **შუსტერი** ჰყავთ დისკვალიფიცირებული, რის გამოც დაცვის ცენტრში თამაში **ფლუმს** მოუწევს. აქვე ისიც ვთქვათ, რომ „ფრაიბურგზე“ (17 გაშვებული გოლი) უკეთესი დაცვა ამ სეზონში მხოლოდ ორ კლუბს, „ბაიერნს“ (6) და დორტმუნდს (16) ჰყავს.

საინტერესო უნდა გამოვიდეს „ნიურნბერგისა“ და დიუსელდორფის „ფორტუნას“ მატჩიც. პირველ რიგში იმის გამო, რომ „ფორტუნა“ ბოლო დროს ძალიან კარგად ათამაშდა - დიუსელდორფელებმა უკანასკნელ სამ მატჩში შვიდ ქულას მოუყარეს თავი და მე-13 ადგილამდე აღზევდნენ. ნიურნბერგელთა რიგებში **კიოტაკეს** თამაშია საეჭვო - იაპონელ შემტეკ ნახევარმცველს გრიპი აქვს. აქვე ისიც ვთქვათ, რომ „ფორტუნას“ ნიურნბერგში სულ 11 მატჩი ჩაუტარებია და არასდროს მოუგია.

აინტრახტიც აიჭრა

სენსაციური სტარტის შემდეგ „აინტრახტმა“ მაგრად აურია. **არმინ ფეეს** ნაქებმა შეგირდებმა ბოლო შვიდ მატჩში მხოლოდ ერთი თამაში მოიგეს და ოდენ 5 ქულას მოუყარეს თავი. ფეე ზამთარში დაცვის ხაზის გაძლიერებას აპირებს, თუმცა მანამდე „აინტრახტს“ კიდევ ორი მატჩი ელის. დღეს ფრანკფურტელები „ვერდერს“ მასპინძლობენ. ბრემენელებმა წინა ტურში გაჭირვებული „ჰოფენჰაიმი“ 4:1 გაანადგურეს, **მარკო არნაუტოვიჩმა** ჰეთ-თრიკი შეასრულა...

ევროპალიგელები ხვალ თამაშობენ

ევროპალიგის მონაწილეები ტრადიციულად ხვალ თამაშობენ. პირველი დუელი მიონხენგლადბახის „ბორუსიასა“ და „მაინცის“ დაპირისპირებაა. „გლადბახს“ უძვირფასესი შენაძენი **ლუუკ დე იონგი** გამოუჯანმრთელდა - ჰოლანდიელმა „ფენერბაჰჩესთან“ გასვლით მატჩში გოლიც გაიტანა (**ლუსიენ ფავრის** ბიჭებმა 3:0 მოიგეს). „მაინცში“ მწვრთნელ **თომას ტუხელს** მეკარის საკითხი აქვს გადასაწყვეტი: მას ჯერაც არ უთქვამს, ვინ უნდა შეცვალოს დისკვალიფიცირებული **ვეტკლო** - ახალგაზრდა **კარიუსმა**, თუ ვეტერანმა **მიულერმა**. რაც მთავარია, მაინცელებს მთავარი გოლეადორი **ადამ სალაი** ჰყავთ მწყობრში - ამ უკანასკნელის ანგარიშზე 9 გოლია, რითაც უნგრელი ბომბარდირთა დავის ერთ-ერთი ლიდერია.

ტურს ხვალ საღამოს, გერმანული უიქენდის ერთ-ერთი გამორჩეული მატჩი, „ჰანოვერისა“ და „ლევერკუზენის“ ჯახი დახურავს. „ჰანოვერი“ ამბიციური გუნდია, „ლევერკუზენი“ კი მეორე ადგილზეა და „ბაიერნის“ პირველი მდევრის სტატუსის განმტკიცება სურს.

გოტფრიდ ლენცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● იტალია. სერია A. XVI ტურის წინ

დიდი ინტრიგა მეაცაზე

იუვეს კონტე დაუბრუნდა

ანტონიო კონტემ დისკვალიფიკაცია მოიხადა

სერია A თითქმის ყველა ტურში გვთავაზობს მინიმუმ ერთ ისეთ პაექრობას, რომელსაც უნდა ჩაუჯდე და გემრიელად უყურო... ამჯერად, განსაკუთრებულ ინტერესს "ჯუზეპე მეაცაზე" დაგეგმილი ჯახი იწვევს, სადაც "ინტერი" და "ნაპოლი" შეასკდებიან ერთმანეთს. სწორედ ამ მატჩით დავიწყოთ...

როგორც "კორიერე დელო სპორტში" ეწერა, ეს არის ბრძოლა "იუვენტუსის" მთავარი კონკურენტის სტატუსისთვის. თუ ნეაპოლელებმა იმარჯვეს, მილანელებს ხუთი ქულით ჩამოიტოვებენ, რაც სერიოზული ფორაა, მილანელთა წარმატების შემთხვევაში კი მეორე ადგილზე სწორედ **ანდრეა სტრამაჩონის** გუნდი გადაინაცვლებს. ფრე ყველაზე მეტად "იუვენტუსს" აწყობს, რადგან შანსი მიეცემა, ორი უახლოესი მდევარი კიდევ უფრო ჩამოიტოვოს. მოკლედ, "ინტერი"-"ნაპოლის" ჯახი უაღრესად პრინციპული და მნიშვნელოვანია. შევიხედოთ ორივე გუნდის ბანაკში...

სავარაუდო შემადგენლობები

ინტერი (3-4-2-1): ჰანდანოვიჩი - რანოკია, სილვესტრი, ჟუან ჟესუსი - ძანეტი, გარგანო, კამბიასო, ნაგატომო - კასანო, ჰალასიო - მილიტო.

ნაპოლი (3-4-1-2): დე სანკტისი - გამბერინი, კანავარო, ბრიტოსი - მესტო, ბერამი, ინლერი, ცუნიგა - ჰამშიკი - კავანი, ინსინიე.

ინტერი

"გაძეტა დელო სპორტის" ვერსიით, ანდრეა სტრამაჩონი 3-4-2-1 ტაქტიკას აირჩევს, რასაც მისგან ნამდვილად არ ვართ მიჩვეულნი. შეტევის წინა ხაზზე **დიეგო მილიტო** გაირჯება, რომელსაც უკნიდან **ანტონიო კასანო** და **როდრიგო პალასიო** დაეხმარებიან. დიახ, "ინტერის" მესაჭე შემტევ ტაქტიკას ამზადებს და ეს არც არის გასაკვირი, რადგან ამ შეხვედრაში ფრე "ნაპოლისთვის" უფრო საპატიო იქნება.

მატჩის წინ, პრესასთან კომენტარი "ინტერის" სპორტულმა დირექტორმა **მარკო ბრანკამ** გააკეთა და განაცხადა, რომ "ნაპოლისთან" მატჩი ანდრეა სტრამაჩონისთვის ფუნდამენტური მნიშვნელობის იქნება - ბოლო პერიოდში, "ინტერის" კრიზისზე ისევ ალაპარაკდნენ და კრიტიკოსთა თუ სკეპტიკოსთა გასაჩუმებლად უშუალო კონკურენტის დამარცხება სწორედაც რომ მისწრებაა. ეს კარგად ესმის თავად მწვრთნელსაც და სწორედ მას გადავცეთ სიტყვა:

"ძლიერი მეტოქე გვყავს და თუ სამი ქულის მოპოვება გვსურს, ბოლომდე უნდა დავიხარჯოთ. წაფორხილების უფლება არ გვაქვს, რადგან ამით, არა მარტო "ნაპოლის", "იუვენტუსსაც" ვახეირებთ. აუცილებლად შევუტევთ, რადგან სხვაგვარად მიზნის მიღწევა უბრალოდ წარმოუდგენელია. როგორ ითამაშებს "ნაპოლი"? - ამის შესახებ ვალტერ მაცარი გაგცემთ პასუხს".

ნაპოლი

უკან დახევას არც ნეაპოლელები აპირებენ და ეს სავარაუდო შემადგენლობიდან კარგად ჩანს. როდესაც **ედინსონ კავანია** დაშავებული, ან **გორან პანდევი, ვალტერ მაცარი** ხშირად 3-5-1-1 ტაქტიკას იყენებს, თუმცა ამ შემთხვევაში, შეტევის ხარჯზე დაცვის გაძლიერებას არ ფიქრობს. ყოველ შემთხვევაში, "გაძეტა დელო სპორტი" ამას ამტკიცებს და არ გვაქვს საფუძველი, რომ არ დავუჯეროთ. ანუ, **მარეკ ჰამშიკი** გამთამაშებელი იქნება, შეტევის წინა ხაზზე კი ედინსონ კავანი და **ლორენცო ინსინიე** გაირჯებიან. მოკლედ, პანდევის ტრავმის მიუხედავად, "ნაპოლი" ტრიოთი შეუტევს, რაც საინტერესო სანახაობის კიდევ ერთი წინაპირობაა. ამდენად, ორივე გუნდი შემტევ ტაქტიკა-სტრატეგიას ამზადებს და წესით, საინახაობრივი მატჩი უნდა ვიხილოთ. ამაზე ისაუბრა ვალტერ მაცარიმაც:

"წინ დიდი მატჩი გველის, რომელიც იმედია ჩვენი გამარჯვებით დამთავრდება. ერთში ღრმად ვარ დარწმუნებული - თამაში სანახაობრივი იქნება და გულშემატკივარი უდიდეს სიამოვნებას მიიღებს. "ინტერთან" ჯახები ყოველთვის საინტერესო, დაძაბული და დრამატული გამოდის. ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები პრაქტიკულად შერჩეული მყავს, მაგრამ კარტების გახსნას არ ვაპირებ. იქნება თუ არა სიურპრიზები? - სიურპრიზები შობისთვის შემოვინახოთ, კვირას დიდი მატჩია და მეტოქე ღირსეულ ბრძოლაში უნდა დავჯაბნოთ".

აქაც უშუალო კონკურენტები

ძალიან საინტერესო მატჩი გაიმართება "სტადიო ოლიმპიკოზე", სადაც "რომა" "ფიორენტინას" უმასპინძლებს. ერთმანეთის პირისპირ აქაც უშუალო კონკურენტები წარსდგებიან, რადგან ორივე გუნდი ჩემპიონთა ლიგის საგზურის პრეტენდენტია. მართალია, ფლორენციელები და რომაელები აქა-იქ სკუდეტოზე ოცნებობენ, მაგრამ ეს სწორედაც რომ უფრო ოცნებებია, ვიდრე რეალობა. გაცილებით რეალური ლიგის საგზურია და ამ გზაზე, მოახლოებული ჯახი ძალიან მნიშვნელოვანია.

"რომა" დაშავებული **ერიკ ლამელას** გარეშე იასპარეზებს, ფლორენციელები კი **ადემ ლიაიჩს** და **დავიდ პისაროს** მოისაკლისებენ. ამ მხრივ, ფლორენციელთა ბანაკიდან კარგი ამბებია - **ლუკა ტონი** სრულად გამოჯანმრთელდა და ძირითადში ვიხილავთ, **სტევან იოვეტიჩი** კი ალბათ თადარიგში იქნება და საჭიროების შემთხვევაში ჩაერთვება თამაშში. მოკლედ, **ვინჩენცო მონტელას** თავდამსხმელები დაუბრუნდნენ, რაც მისთვის დიდი შვება უნდა იყოს. მონტელა "რომას" წინააღმდეგ ცალკე სალაპარაკო თემაა - თავად ვინჩენცომ მოკლე კომენტარი გააკეთა და განაცხადა, რომ "რომა" ყოველთვის მის გულში იქნება.

წინ მართლაც საინტერესო მატჩი გველის, რომელიც არავითარ პროგნოზს არ ექვემდებარება - ფავორიტის დასახელება ისეთივე რთულია, როგორც რომსა და ფლორენციას შორის უფრო ლამაზი ქალაქის არჩევა.

სავარაუდო შემადგენლობები

რომა (4-3-3): სტეკელენბურგი - პირისი, მარკინოსი, კასტანი, ბალცარეტი - დე როსი, ტაჩტიდისი, ბრედლი - დესტრო, ოსვალდო, ტოტი.

ფიორენტინა (3-5-2): ვივიანო - რონკალია, გონსალო, სავიჩი - კასანი, აკვილანი, ოლივერა, ბორახ ვალერო, ჰასკუალი - კუადრადო, ტონი.

კონტე ბრუნდება

ტურინიდან დიდი ამბავი გვაქვს - **ანტონიო კონტემ** დისკვალიფიკაცია მოიხადა და "იუვენტუსის" სათადარიგოთა სკამზე ბრუნდება. დიახ, "ვეკია სენიორა" "პალერმოს" სწორედ კონტეს თავკაცობით შეერკინება და ეს უდავოდ ტურის ერთ-ერთი მთავარი მოვლენაა.

კონტეს **სებასტიან ჯოვინკოსა** და **ნიკლას ბენდტნერის** გარეშე მოუწევს ფონს გასვლა, რადგან პირველი დისკვალიფიცირებულია, ხოლო მეორე - დაშავებული. ვარაუდობენ, რომ თადასხმაში "იუვეს" **მირკო ვუჩინიჩისა** და **ალესანდრო მატრის** ტანდემი ეყოლება. თამაში სიცილიაზეა და წესით, ლიდერს მძიმე ბრძოლა უნდა გადახდეს. ვნახოთ...

ბოლოს ისიც ვთქვათ, რომ "მილანი" თავის შეხვედრას ტურინში "ტორინოსთან" გამართავს. ეს მატჩი ლომბარდიელთათვის უმნიშვნელოვანესია, რადგან სწორედ "გრანატასთან" ჯახი გვიჩვენებს, რამდენად საფუძვლიანია მილანელთა მოძალებული ამბიციები. თუ **მასიმილიანო ალეგრის** გუნდი ტურინში წაიბორძიკებს და კიდევ უფრო ჩამორჩება ლიდერთა ექვსეულს, დაძლეულ კრიზისზე ლაპარაკი ცარიელ სიტყვებად დარჩება. მოკლედ, წინ საინტერესო მატჩები გველის.

ლაშა წიკლაური

დღეს

ატალანტა-პარმა 21.00

დისკვალიფიკაცია: სტენდარდო (ატალანტა).
ტრავმა: ტროიზი, კაპელი, მარილუნგო - ვალოპა.

ბოლო 6 მატჩი

+3=0-3 +2=2-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 24 თამაში: +9=9-6, (30-27)

რომა-ფიორენტინა 23.45

დისკვალიფიკაცია: გუბერტი (რომა).
ტრავმა: ტალო, ლამელა - პისარო, ლიაიჩი, კამპორეზე, აგაზი.

ბოლო 6 მატჩი

+4=0-2 +4=2-0

ურთიერთშეხვედრები

სულ 36 თამაში: +20=10-6, (61-39)

ხვალ

კალიარი-კიევო 18.00

დისკვალიფიკაცია: დესენა, ეკდალი - ანდრეოლი.
ტრავმა: პინილია - მოსკარდელი, ლუსიანო - ბაჩეკი, ფრეი, ვიოტი.

ბოლო 6 მატჩი

+1=2-3 +2=2-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 19 თამაში: +4=8-7, (23-24)

პალერმო-იუვენტუსი 18.00

დისკვალიფიკაცია: ჯოვინკო (იუვენტუსი).
ტრავმა: ერნანდესი, მანტოვანი - ბენდტნერი, ლუსიო, პეპე.

ბოლო 6 მატჩი

+2=1-3 +3=1-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 14 თამაში: +7=1-6, (18-22)

პესკარა-ჯენოა 18.00

დისკვალიფიკაცია: ბოკეტი (პესკარა).
ტრავმა: კოლუჩი, საველონი, ბლაზი - ფერონეტი, ხორკერა, ანსელიმო, ანტონელი, პიშიტელა, ბოვო.

ბოლო 6 მატჩი

+1=0-5 +1=0-5

ურთიერთშეხვედრები

სულ 14 თამაში: +7=1-6, (18-22)

სიენა-კატანია 18.00

დისკვალიფიკაცია: ბელმონტე, ვიტიელო, ტერეი - ბარიენტოსი, ბელუში.
ტრავმა: კამპანიოლო, ანჯელო - სპოლი, პოტენცა, რიკიუტი, ბიაჯანტი, შაკა.

ბოლო 6 მატჩი

+2=2-2 +2=2-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 12 თამაში: +3=8-1, (17-13)

ტორინო-მილანი 18.00

დისკვალიფიკაცია: გლიკი - ბოატენგი.
ტრავმა: ბაკიჩი, სუჩუ - მონტოლივო, მუნტარი, პატო, ტრაორე, დიდაკ ვილა, ბონერა.

ბოლო 6 მატჩი

+1=3-2 +3=2-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 19 თამაში: +1=8-10, (10-33)

ინტერი-ნაპოლი 23.45

დისკვალიფიკაცია: სამუელი (ინტერი).
ტრავმა: სტანკოვიჩი, ობი, კივუ, მუდინგაი - პანდევი, არონიკა, მაჯო, ჯემაილი.

ბოლო 6 მატჩი

+3=1-2 +3=2-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 24 თამაში: +12=4-8, (31-23)

ზეგ

სამპდორია-უდინეზე 22.00

დისკვალიფიკაცია: კრსტიჩიჩი, მუსტაფი (სამპდორია).
ტრავმა: მაქსი ლოპესი, ედერი - დომიცი, მურიელი, ბენეტია.

ბოლო 6 მატჩი

+2=1-3 +1=4-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 30 თამაში: +13=10-7, (56-45)

ბოლონია-ლაციო 00.00

დისკვალიფიკაცია: პორტანოვა, გაბიადინი (ბოლონია).
ტრავმა: ხიმენესი, აკვაფრესკა, კურჩი, ლომბარდი, ნატალი - კლოზე, ბროკი, სარატე, დიასი, როკი, მარკეტი, კონკო.

ბოლო 6 მატჩი

+2=1-3 +3=2-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 26 თამაში: +9=3-14, (32-39)

შენიშვნა: + მოგება, = ფრე, - წაგება () ბურთების სხვაობა

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. იუვენტუსი	15	11	2	2	32-10	35
2. ნაპოლი	15	10	3	2	28-12	33
3 ინტერი	15	10	1	4	27-16	31
4. ფიორენტინა	15	8	5	2	27-14	29
5. ლაციო	15	9	2	4	23-17	29
6. რომა	15	8	2	5	33-24	26
7. მილანი	15	6	3	6	24-19	21
8. პარმა	15	5	5	5	18-20	20
9. კატანია	15	5	4	6	19-23	19
10. უდინეზე	15	4	7	4	22-24	19
11. ატალანტა	15	6	2	7	15-22	18
12. სამპდორია	15	5	3	7	19-21	17
13. კალიარი	15	4	4	7	14-24	16
14. ტორინო	15	3	7	5	15-17	15
15. კიევო	15	4	3	8	17-27	15
16. ბოლონია	15	4	2	9	17-20	14
17. პალერმო	15	3	5	7	14-22	14
18. ჯენოა	15	3	3	9	16-25	12
19. სიენა	15	4	5	6	14-17	11
20. პესკარა	15	3	2	10	10-30	11

შენიშვნა: სიენა - 6 ქულა, ატალანტა – 2, სამპდორია – 1, ტორინო – 1.

ბომბარდირები: 12 – ელ შაარავი (მილანი); 10 - კავანი (ნაპოლი); 9 - კლოზე (ლაციო)

მილანში დიდი ბრძოლა იქნება

● ინგლისი. პრემიერლიგა. XVI ტურის წინ

კეთილი იყოს თქვენი მოგზაურობა მანჩესტერში

დღეს

ბერნლი-ფულჰემი 19:00
ტრანსლაცია: დიმარი, კოშიშენი, ფაბიანსკი – ე. დოლუნინი.

ბერნლი 6 მაგარი
+1 =3 -2 +4 =0 -2
პრემიერლიგაჩემპიონები
სულ 116 მსგავსი: +58 =27 -31 (206-151)

ასტონ ვილა-ტოტენჰემი 19:00
დისკვალიფიკაცია: ადამი (სტიკი)
ტრანსლაცია: ბ. სტიკენსი, ჯოანერი, ჯ. ბენტლი, ნ.ზოლიბა, დანი, ტერფორენი – ფელანი, ულანინი

ბერნლი 6 მაგარი
+2 =2 -2 +4 =1 -1
პრემიერლიგაჩემპიონები
სულ 67 მსგავსი: +28 = 17 -22 (105-75)

**ს

● სუპერლიგა 2012-13. VIII ტური

ბოუის 31 და გახარებული რუსთავი

არმიას მეორე მარცხი

ლაშა ფარღალავას გარღვევა

7 დეკემბერი, რუსთავი

	რუსთავი	**არმია**
	79	**77**

	I	II	III	IV
რუსთავი	13	19	26	21
არმია	23	19	12	23

რუსთავი	წთ	მ	პ	შ	ჩ	დ	ქ
ბოუი	36	6	5	8	1	0	31
ცეკვავა	36	5	4	0	2	0	8
აბაიშვილი	21	3	3	1	1	1	1
ჩაჩანიძე	5	0	0	0	0	0	0
ნელსონი	33	6	1	2	2	0	15
ტუჯანი	28	8	0	0	0	0	9
ათანელიშვილი	17	4	0	0	0	0	13
არაბული	2	0	0	0	0	0	0
ხმელიძე	17	1	0	3	1	0	2

არმია	წთ	მ	პ	შ	ჩ	დ	ქ
გამყრელიძე	18	3	2	4	1	0	4
ბაბიაშვილი	9	0	0	0	0	0	0
ა. ბოისა	29	6	2	1	2	0	9
მილეიფი	18	4	3	1	1	0	11
წიფლიანიძე	14	1	3	1	0	0	0
ფილეგოი	21	7	0	2	0	1	18
საყვარელიძე	21	4	3	3	1	1	16
ფეისონი	11	2	1	1	0	0	3
შარაბიძე	13	2	0	2	1	0	2
ვაგნერიანი	3	0	1	0	0	0	0
უილსონი	30	12	2	2	1	0	12
ფარღალავა	6	0	0	2	0	0	2

მსაჯები: მაკა კუპატაძე, ზაზა მაჩალაძე, დავით ბერიშვილი

სპორტსმენებს ხშირად გამოუყენებიათ ფრაზები - „წითელი ხაზი“ და „მწვანე ხაზი“... გასაგებია, რომ წითლის დროს რამდენიმე წარუმატებელი მატჩი ებმება ერთმანეთს, ხოლო მწვანისას - პირიქით. გუშინ რუსთავში სწორედ ასეთი მაჩვენებლების მქონე გუნდები შეხვდნენ: რუსთაველებს სუპერლიგის ზედიზედ სამი მატჩი ჰქონდათ მოგებული. განსაკუთრებით ღირებული წინა ტურში ქუთაისში გამარჯვება იყო. ხოლო არმიელებმა ევროჩელენჯზე წაგებებს საქართველოს ჩემპიონატში „შსს აკადემიასთან“ მარცხიც გამოურიეს.

მოკლედ, თავდაჯერებულმა „რუსთავმა“ გუშინ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ამ ჩემპიონატში მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებს. მასპინძლებმა მოქმედ ჩემპიონთან პირველი პერიოდი 13:23 დათმეს და დიდ შესვენებაზეც 10-ქულიანი ჩამორჩენით გავიდნენ, მაგრამ მესამე ათწუთეულიდან მოედანზეც და თამაშშიც შემართებით დაბრუნდნენ, პერიოდი 26:12 მოიგეს და მატჩის ბედის გადაწყვეტა ბოლო წამებს მიანდეს. მიუხედავად იმისა, რომ სირენამდე 2 წუთით ადრე დაბეჭებული 7-ქულიანი უპირატესობა რუსთაველებმა „არმიას“ გაატანეს, საბოლოოდ გამარჯვება მაინც არ დათმეს - 79:77.

მასპინძლებმა გუნდური თამაშის წყალობით მოიგეს, მაგრამ სამ კალათბურთელს მაინც გამოვარჩევთ: ექსარმიელმა ცენტრმა **რეზო ათანელიშვილმა** 17 წუთში 13 ქულა მიითვალა, **კაელ ნელსონმა** - 15 ქულა, ხოლო **ნეით ბოუიმ რიჩარდ მათიაშვილის** რეკორდი გაიმეორა და 31 ქულას მოუყარა თავი. საინტერესოა, რომ აქამდე, ზედიზედ ოთხი ტურის განმავლობაში ბოუის სამქულიანი არ ჰქონდა ჩაგდებული, გუშინ კი 7-დან 5 შორეული ტყორცნა გამოიყენა და ზედიზედ მეორედ ტურის საუკეთესო კალათბურთელობაზე სერიოზული განაცხადი გააკეთა.

მერვე ტურის დარჩენილი ოთხი მატჩი დღეს თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება.

ნამატჩევს

მიხეილ ბერუაშვილი („რუსთავის“ მწვრთნელი):

- ძალიან გახარებულები ვართ, არა მარტო იმით, რომ გავიმარჯვეთ, არამედ იმითაც, რომ გუნდმა ზუსტად შეასრულა ის დავალება, რაც მიღებული ჰქონდა. ჩვენმა მუშაობამ და ვარჯიშმა შედეგი გამოიღო, ბიჭებს და მთელ გუნდს დაუფასდა ის შრომა, რაც ბოლო პერიოდში გავწიეთ. ეს იყო პრინციპული გამარჯვება, მაგრამ წინ კიდევ არაერთი პრინციპული მატჩი გველის.

კოტე ტულუში („არმიას“ მწვრთნელი):

- „რუსთავმა“ დღეს ჩვენზე ბევრად უკეთ იასპარეზა. პირველი ტაიმი კარგად დავიწყეთ, თუმცა მეორე ნახევარში მოვლენები ჩვენთვის ცუდად განვითარდა. აშკარაა, რომ გუნდი კრიზისშია და საჭიროა, მომავალ მატჩებში ერთსულოვანი და გუნდური თამაში ვუჩვენოთ.

გუნდი	**თ**	**მ**	**ნ**	**სხ**	**ქ**
1. რუსთავი	8	7	1	618/545	15
2. არმია	7	5	2	602/432	12
3. შსს აკადემია	6	6	0	515/392	12
4. ქუთაისი	7	5	2	543/486	12
5. ოლიმპი	6	5	1	560/431	11
6. დინამო	6	3	3	459/422	9
7. ბათუმი-რსუ	7	2	5	469/544	9
8. თსუ	7	2	5	448/569	9
9. სოხუმი	6	1	5	449/528	7
10. სტუ	6	0	6	357/489	6
11. სამედიცინო	6	0	6	351/533	6

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები

ლევან ცეკვავას მატჩისშემდგომი სიხარული

● ქართველი ევროლიგაზე. გამოხმაურება

მანუჩარ მარკოიშვილი (ბურთით)

მანუ: ეს ჩვენთვის ფინალი იყო

„კანტუ“-“რეალის“ მატჩი ხუთშაბათს ჩატარდა, ევროლიგის მე-9 ტურის შეხვედრათა ნახევარი კი პარასკევს გაიმართა. ამიტომ ვიდრე გაზეთი დასაბეჭდად გავიდოდა, არ იყო ცნობილი მეცხრე ტურის საუკეთესო კალათბურთელის ვინაობა. თუმცა იმედს ვიტოვებთ, რომ ეს **მანუჩარ მარკოიშვილი** იქნება, რომელმაც მადრიდელთა ძლევაში (76:70) 23-ქულიანი წვლილი შეიტანა.

ამ შეხვედრას დიდი გამოხმაურება მოჰყვა როგორც იტალიაში, ასევე ესპანეთში. ქართულ გვარს სტატიების საპატიო ადგილებში ვხვდებით. „გაზეტა დელო სპორტში“ მატჩის მიმოხილვაში ერთი ქვეთავია სახელწოდებით „ვარსკვლავური მოთამაშე“: „კანტუელების მთავარი მამოძრავებელი იყო მანუჩარ მარკოიშვილი, 23 ქულა ჩააგდო და კიდევ არაერთ კომპონენტში იყო კანტუელთაგან საუკეთესო.“

ესპანურ „სოლობასკეტში“ ერთი სტატიის სათაური ასე ჟღერს: „მარკოიშვილმა „რეალი“ დაამარცხა“. ქვემოთ ვკითხულობთ: „მთავარი მექანიკოსები **არადორისა** და **ფერნანდესის** არყოფნაში სროლაში ერთმანეთს მარკოიშვილი და **ქეროლი** გაეჯიბრნენ. გამარჯვება თავის გუნდს ქართველმა უკანახაზელმა მოუტანა“.

იტალიურ გაზეთ „დეილი ბასკეტში“ მატჩის მონაწილე თითოეული კალათბურთელი იყო შეფასებული. ყველაზე მაღალი ქულები მანუსა და **ტაბუს** ერგოთ.

„კანტუს“ მწვრთნელმა **ანდრეა ტრინკიერიმ** „რეალთან“ მატჩზე მსჯელობისას მარკოიშვილსაც ვერ აუარა გვერდი:

- *მთელმა გუნდმა კარგად ითამაშა. უკანა ხაზში ჩვენი საკვანძო ფიგურა მანუჩარ მარკოიშვილი იყო, ხოლო წინა ხაზში - ჯეფ ბრუკსი. მართალია მომდევნო ეტაპზე გასვლის მაინც მცირე შანსი გვქონდა, მაგრამ ვეცადეთ, ის ბოლომდე გამოგვეყენებინა. ახლა უნდა დაველოდოთ „ფენერბაჰჩეს“ თამაშს ათენში და „ფენერთან“ უშუალო დაპირისპირებას.*

დროა, მანუჩარ მარკოიშვილის ინტერვიუს გავეცნოთ:

- ძალიან გახარებული ვარ. ამ გამარჯვებით ტოპ-16-ში მოხვედრის შანსი შევინარჩუნეთ. დაცვაში დიდებულად გავისარჯეთ, რაც წარმატების გასაღები აღმოჩნდა. მართალია, შეხვედრის მსვლელობისას არაერთი ჩასაგდებ ტყორცნა ვერ გამოვიყენეთ, მაგრამ დაცვამ და გუნდურმა თამაშმა ყველა ნაკლოვანება გადაფარა.

- რას ნიშნავდა „რეალთან“ გამარჯვება თქვენთვის?

- ევროლიგაზე ზედიზედ ორი შეხვედრა გვქონდა წაგებული და სწორედ ასეთ ძლიერ მეტოქესთან უნდა გამოჩენილიყო, რომ ჩვენც არ გვყავს ნაკლები გუნდი. ეს ჩვენთვის ფინალი იყო. მატჩისთვის ყოველმხრივ კარგად მოვემზადეთ და სასიხარულოა, რომ შრომა დაგვიფასდა. როგორც აღვნიშნე, წაგების შემთხვევაში მომდევნო ეტაპზე გასვლის ყოველგვარ იმედს ვკარგავდით. მომდევნო კვირას სტამბულში ასეთივე შემართებით ვიბრძოლებთ, თუმცა მეტოქე მაშინაც სერიოზული გვეყოლება - „ფენერბაჰჩე“.

- გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანეთ, 23 ქულა ჩააგდეთ...

- შეტევაში რიგ ეპიზოდებში ყველაფერი კარგად გამოგვდიოდა, ზოგჯერ - პირიქით. ბევრი ტყორცნა მეც ვერ გამოვიყენე. მადლობა ჩემს თანაგუნდელებს, რომლებიც ყველანაირად მეხმარებოდნენ. რომ არა გუნდური გარჯა, „რეალის“ დონის გუნდს ვერ ვაჯობებდით.

ევროლიგა	
შალონი-ჟონტეპასკი	**108:103**

ვიქტორ სანიკიძე: **20 წუთი, 4 ქულა, 5 მოხსნა, 2 პასი**

● ქართველი უკრაინაში

7 პასი აზოტთან

გიორგი ცინცაძე

გიორგი ცინცაძის „ბუდიველნიკმა“ გუშინ „დნიპრო აზოტი“ სტუმრად 82:73 დაამარცხა. ქართველმა გამთამაშებელმა თავის ინტერვიუშიც აღნიშნა, რომ ხშირად უწევს კვირაში სამი მატჩის ჩატარება. არც ეს შვიდდღეულია გამონაკლისი: „მშენებლებმა“ ჯერ ოთხშაბათს, ევროთასზე მძიმე მატჩში ჩეხეთის „ნიმბურკი“ დაამარცხეს, პარასკევს შიდა ჩემპიონატზე ითამაშეს „დნიპრო აზოტთან“, ხოლო კვირას „დნიპროს“ ესტუმრებიან.

გუშინდელი შეხვედრა აზოტელებთან თავიდან ბოლომდე თანაბარი გამოდგა, „ბუდიველნიკის“ კალათბურთელებმა მხოლოდ გადამწყვეტ მომენტში შეძლეს მეტოქის წინააღმდეგობის გატეხვა და 9 ქულის სხვაობით მოიგეს.

18 ქულით სტუმართა ბომბარდირი **ლეო ლაიონსი** გახდა, ხოლო გიორგი ცინცაძემ 30 წუთში 5 ქულა, 7 შედეგიანი გადაცემა და 2 მოხსნა მიითვალა. მან 50-პროცენტიანი სიზუსტით სტყორცნა: 2-დან 1 ორქულიანი და ასევე, 2-დან 1 სამიანი.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

ოქროს სტუმარი

რევაზ ჩომახიძე

დღეს „ლელოს“ სტუმარია ლეგენდარული ქართველი წყალბურთელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი რევაზ ჩომახიძე.

სპორტში ვიქნები თუ არა, ქართულ წყალბურთს ყოველთვის დავეხმარები

რევაზ ჩომახიძე — ავტორის ფოტო

— ცურვა ხუთი წლისამ ვისწავლე სევასტოპოლში ბებიასთან სტუმრობისას. შინ რომ დავბრუნდი, იმ წელიწადს მამა ქუთაისში გადაიყვანეს სამუშაოდ და მთელი ოჯახი რიონისპირა ქალაქში გადავიდა საცხოვრებლად. იქ დავიწყე წყალბურთში ვარჯიში გიორგი ქუთათელაძის ხელმძღვანელობით. პროფესიონალი კი მას შემდეგ გავხდი, რაც ტურნირში მივიღე მონაწილეობა.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ახალგაზრდული ნაკრებების მთავარ მწვრთნელად დამნიშნეს. ეს მიმართულება ფედერაციაში პრიორიტეტული იყო და დღემდე ასეთად რჩება. ბოლო ორი წელიწადია, ორ-ორ ასაკში საქართველოს პირველობებს ვატარებთ, ნაკრები გუნდებიც ჩამოვაყალიბეთ. 19-წლიანთა გუნდი შარშანწინ ევროპის პირველობის ფინალურ ეტაპზეც გავიდა. ახალგაზრდებთან სამწლიანი ინტენსიური მუშაობით იმას მივაღწიეთ, რომ რამდენიმე წყალბურთელი ეროვნულ გუნდში მიიწვიეს. ახლა მთავარია, ახალგაზრდებთან მუშაობის პროცესი უფრო ინტენსიური გახდეს, რათა 14-16-18-წლიანთა ნაკრები გუნდებიდან ღირსეული ცვლა წამოვიდეს. ფედერაციის დიდმა მცდელობამ ის შედეგი გამოიღო, რომ დღეს წყალბურთში 1200-მდე მოზარდი ვარჯიშობს.

— მათ მოსამზადებლად სათანადო ბაზები და პირობები თუ არსებობს?

— საქართველოში ცოტა აუზი გვაქვს, თანაც ყველა მათგანი როდია დაინტერესებული, წყალბურთის ჯგუფები ჰყავდეს. ზოგან პირობებიც ქმნის პრობლემებს. წყალბურთი ვერ არის ისეთი პოპულარული, როგორც ფეხბურთი, ჭიდაობა ან ძიუდო. ამას ისიც ემატება, რომ აბონემენტები ძვირია — ყველას როდი აქვს 30-60 ლარის გადახდის საშუალება. ამის მიუხედავად, ბათუმისა და ქუთაისის მცირე აუზები მსურველებს ვერ იტევს. სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ საჩხერის აუზში დღეს 120-მდე ნორჩი წყალბურთელი ვარჯიშობს, საქართველოს პირველობაშიც იასპარეზეს. რუსთავის გაპარტახებული აუზი კაპიტალურად გარემონტდა და ჩადგა მწყობრში, სადაც წყალბურთის სკოლამ ინტენსიური მუშაობა დაიწყო. ასე რომ, გაისად საქართველოს პირველობებზე სამ ასაკში 8-10 გუნდის გამოყვანა შეიძლება. თუმცა ეს არ არის ზღვარი.

— თქვენ საჩხერის აუზი ახსენეთ. გვსმენია, რომ იქ რაღაც პრობლემები იყო...

— ეს 25-მეტრიანი აუზი „ქართუ ფონდმა“ გახსნა, რომელიც მერე მთლიანად მუნიციპალიტეტის ბალანსზე გადავიდა. აბონემენტებიც ძვირი იყო. ალბათ, იცით, რომ „ლაგუნა ვერეზე“ „ქართუ ფონდის“ დაფინანსებით საწყლოსნო კლუბი „ივერია“ დაფუძნდა, რომელიც წარმატებული პროექტი გამოდგა. სწორედ, აქაური გამოცდილება გამოვიყენეთ საჩხერეში, სადაც დღეს, როგორც გითხარით, 120 ბავშვი ვარჯიშობს წყალბურთში, გაისად საქართველოს პირველობაზე ორი გუნდის გამოყვანას აპირებენ.

— შეიძლება ითქვას, რომ ქართულ წყალბურთს მომავალი აქვს?

— აუცილებლად. საიმისოდ, რომ სპორტის ესა თუ ის სახეობა წარმატებული იყოს, აუცილებელია ქვეყანაში მას ტრადიცია ჰქონდეს. ამ მხრივ, მართლაც მდიდრები ვართ. მშობლების დაინტერესებასაც ვგრძნობთ. საქართველოში თითქმის 20 წლის განმავლობაში წყალბურთისათვის უმნიშვნელო თანხა იხარჯებოდა, ფაქტობრივად, ენთუზიაზმის დონეზე შენარჩუნდა იგი კეთილი ადამიანების თავდადებით. ამჟამად უკვე 1200-მდე მოზარდი ვარჯიშობს. ეროვნული ნაკრები ევროპაში რეიტინგით მეთოთხმეტე-მეთვრამეტე ადგილებს ინაწილებს. ასე რომ, ბოლო სამწლიანმა მუშაობამ შედეგი გამოიღო. თუ მომავალშიც გაგრძელდება წარმატებული მუშაობა, გამარჯვებები აუცილებლად მოვა.

— თქვენ ტრადიცია და ხელშეწყობა ახსენეთ. ეს უკანასკნელი, ალბათ, საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის ახალი ხელმძღვანელობის არჩევასაც უკავშირდება. ყრილობაზე თქვენც იყრიდით კენჭს.

— ჩემი ხელშეკრულება ამ თვის ბოლოს მთავრდება, მაგრამ მის გაგრძელებაზე, არა მგონია, ფედერაციის ახალ მესვეურებთან გართულება მექნას, რადგან ბევრ მათგანთან დიდი ხნის მეგობრობა თუ ურთიერთობა მაკავშირებს, ზოგიერთთან ერთ გუნდში მითამაშია კიდეც. თანაც ცუდად არ მიმუშავია. სათავეში ამჯერადაც პროფესიონალები მოვიდნენ, რომლებსაც გულით უნდა საწყლოსნო სახეობების განვითარება.

— რევაზ ჩომახიძეს არჩევნებში მარცხით განაწყენებული კაცის პოზიცია ხომ არ უჭირავს?

— აბსოლუტურად გამორიცხულია. ვის გავებუტო? იმ ადამიანებს, რომლებთანაც, როგორც გითხარით, ამდენი ხნის განმავლობაში საქმიანი თუ მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებს. მერე რა, რომ ჩემი პროგრამა და საწყლოსნო სახეობების განვითარების ჩემეული ხედვა მქონდა. ვინც უნდა იყოს ფედერაციის ხელმძღვანელი, ყველასთან ვითანამშრომლებ. მნიშვნელობა არა აქვს, სპორტში ვიქნები თუ არა, ქართულ წყალბურთს ყოველთვის დავეხმარები — გამოცდილების გაზიარება იქნება ეს თუ ევროპის ფედერაციისა და ტექნიკური კომიტეტის მაღალჩინოსნებთან ნაცნობობა-მეგობრობით წყალბურთის განვითარებისთვის თანადგომა. ცხადია, თუ ამას საჭიროდ მიიჩნევენ.

— პირველად ქართული სპორტის ისტორიაში „ლიგამუსი-თბილისის“ წყალბურთელთა კლუბი, რომლის მთავარი მწვრთნელი ბრძანდებით, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ასპარეზობს, სადაც დღემდე ყველა მატჩი წააგო. გუნდის გაძლიერების მიზნით, რამდენიმე უცხოელის დამატება ხომ არ აჯობებდა?

— თავიდანვე ვთქვი, რომ ევროტურნირებში მონაწილეობა ჩვენთვის ამ ეტაზე მხოლოდ გამოცდილების მისაღებად იყო აუცილებელი. უნდა გავიგოთ, რა ძალები გვყავს, რა გვჭირდება სამომავლოდ და ამის შემდეგ გადავწყვიტოთ, ჩვენი ახალგაზრდების დასაოსტატებლად და უცხოელთა მოსაწვევად რამდენი დავხარჯოთ. იმის თქმა მინდა, რომ გავიგოთ, ევროპულ დონეს ვუახლოვდებით თუ არა და მერე მივიღოთ გადაწყვეტილებები. ცხადია, ყველაზე მარტივი იქნებოდა, 4-5 უცხოელის ამ ეტაპზე დამატება, მით უმეტეს, რომ რამდენიმე მოთამაშეს უკვე აქვს საქართველოს მოქალაქეობა. შესაძლოა, სპორტული მოსაზრებით, ეს უმჯობესი ყოფილიყო, რადგან ოდნავ უკეთესი სატურნირო მდგომარეობა გვექნებოდა, თუმცა ეს ამინდს მაინც ვერ შეცვლიდა და გაუმართლებელი პოლიტიკა იქნებოდა, რადგან შიდა რესურსების შესაძლებლობებს ვერ გავიგებდით. ჩემპიონთა ლიგის ბოლოს კი ნათელ სურათს დავინახავთ. წლევანდელ გათამაშებაში თავიდანვე ორი მოგება დავგეგმეთ. ჰოლანდიის „ჭუურმანსა“ და გერმანიის „ვასპო-98“-ს შინ ვეთამაშებით და ყველაფერს გავაკეთებთ, ორივესთან სტუმრად დამარცხებისთვის რევანში ავიღოთ. შანსი გვაქვს და უნდა გამოვიყენოთ.

— 2015 წელს თბილისი ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალს უმასპინძლებს. თქვენ ამ ღონისძიების გენერალური კოორდინატორი ბრძანდებით. ახალგაზრდობის ფესტივალისთვის მზადების შესახებ რას იტყვით?

— კონკრეტულად ევროპის ოლიმპიურ კომიტეტთან და მის ინსპექტორებთან მაქვს ურთიერთობა, მუდმივად ვცვლით ინფორმაციებს. ექვს თვეში ერთხელ ჩამოდიან ინსპექტორები და მზადების პროცესს ამოწმებენ. მათთვის მომზადებული გვაქვს სამწლიანი ეტაპობრივი განვითარების გეგმა, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს მუშაობა. შემიძლია ვთქვა, რომ გეგმას ვუსწრებთ. იანვრიდან დაიწყება დაფინანსება და პრაქტიკული მუშაობა ბაზების რეაბილიტაციისა და ახალი კომპლექსის ასაშენებლად. იმედია, საქართველოში პოლიტიკური კლიმატის შეცვლა ხელს არ შეგვიშლის და ოლიმპიურ ფესტივალს ისე ვუმასპინძლებთ, როგორც საქართველოს ეკადრება.

ვაჟა დანელია

სადარბაზო გარათი

რევაზ ჩომახიძე 1973 წელს დაიბადა. წყალბურთის თამაში ქუთაისში დაიწყო გიორგი ქუთათელაძის ხელმძღვანელობით. 1989-1993 წლებში თბილისის „დინამოში“ გამოდიოდა. იყო „რარი ნანტესის“ (იტალია, 1993-1997), მოსკოვის „დინამოს“ (1997-2000), „პრო რეკოს“ (იტალია, 2000-2001) ზაგრების (ხორვატეთი) „მლადოსტის“ (2001-2004) წევრი, 2004-დან 2009 წლამდე ჩეხოვოს (მოსკოვის მიმდებარე) „შტურმი 2002“-ში თამაშობდა. 1997 წელს რუსეთის ეროვნულ ნაკრებში მიიწვიეს. მომდევნო წელს კეთილი ნების თამაშებზე პირველი ადგილი დაიკავა, 2000 წლის სიდნეისა და 2004 წლის ათენის ოლიმპიადებზე ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები დაიმსახურა, 2001 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორმა 2002 წელს მსოფლიო ლიგის თამაშები და მსოფლიოს თასი მოიგო. რუსეთის მრავალგზის ჩემპიონმა ევროპის ჩემპიონატებზე ორჯერ მესამე ადგილი დაიკავა. 2003 წელს კონტინენტის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მოსკოვის დიპლომატიური აკადემია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი

● ლეგიონერები

ევროთასებზე ოთხი ყოჩაღობს

უკანა პლანზე დავით ზირაქაშვილი

ევროთასების გათამაშებაში დღეს და ხვალ მორიგი, მესამე ტურის მატჩები გაიმართება. ყველაზე პრესტიჟულ „პაინეკენის თასზე" ქართველ მორაგბეთა ხუთი გუნდიდან სამი ლიდერობს. ესენია: „ტულუზი", „ტულონი" და „მონპელიე".

A ჯგუფში მესამე ტურის წინ **დიმიტრი ბასილაია**ს შოტლანდიური „ედინბურგი" უქულოდ ბოლო ადგილზეა. ჩვენებურის გუნდი სტუმრად ეთამაშება პარიზში „მეტრო რასინგს", რომელიც მას ოთხი ქულით უსწრებს და მესამეა. ბასილაია ტრავმირებულია და არ ითამაშებს.

ამავე ჯგუფში ლიდერი, ინგლისური „სარასენზი" სტუმრად ეთამაშება ირლანდიურ „მანსტერს".

B ჯგუფში დაუმარცხებლად ლიდერობს **ვასილ კაკოვინისა** და **ჯაბა ბრეგვაძის** „ტულუზი", რომელიც შინ ეთამაშება უშუალო კონკურენტ უელსურ „ოსფრიხს". ქართველი მორაგბეები განაცხადში არ არიან.

ჯგუფის კიდევ ერთი ფავორიტი, ინგლისური „ლესტერ ტაიგერზი" შინ მიიღებს იტალიურ „ბენეტონს", რომელმაც ორი თამაშიდან ორივე წააგო.

ანტონ ფეიქრიშვილის „კასტრმა" სტარტი წარუმატებლად დაიწყო და მესამე ტურის წინ D ჯგუფში მესამე ადგილზეა. კასტრელები ამჯერად სტუმრად ეთამაშებიან შოტლანდიურ „გლაზგოს", რომელმაც ორი თამაშიდან ორივე წააგო და ბოლო ადგილზეა. ფეიქრიშვილი სათადარიგოთა შორისაა.

ამავე ჯგუფში ლიდერი ირლანდიური „ალსტერი" სტუმრად ეთამაშება ინგლისურ „ნორსჰემპთონს" ხვდება.

E ჯგუფს **დავით ზირაქაშვილისა** და **ვიქტორ კოლელიშვილის** „კლერმონი" ლიდერობს. „ვულკანები" მესამე ტურში ასევე დაუმარცხებელ ირლანდიურ „ლენსტერს" შეხვდება. ზირაქაშვილი ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს, კოლელიშვილი კი დისკვალიფიცირებულია.

ამავე ჯგუფში თითო-თითო ქულა აქვთ ინგლისურ „ექსეტერს" და უელსურ „ჰლანელჰლის", რომლებიც ერთმანეთს კარდიფში დაუპირისპირდებიან.

F ჯგუფში დაუმარცხებელი **გიორგი ულენტის, ლევან ჩილაჩავასა** და **კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონია". მას კვალში უდგას **მამუკა გორგოძის, გიორგი ულენტისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიე". ორივე „ქართული გუნდი" სტუმრად იასპარეზებს.

ტულონელები ინგლისურ „სეილ შარქსს" დაუპირისპირდებიან. ქუბრიაშვილი თადარიგშია, მიქაუტაძე და ჩილაჩავა განაცხადში არ არიან. „მონპელიეს" მეტოქე უელსური „კარდიფია". გორგოძე და ნარიაშვილი ძირითად შემადგენლობაში იქნებიან, ულენტი ტრავმირებულია.

პაინეკენის თასი

III ტური

A ჯგუფი

მანსტერი-სარასენზი, მეტრო რასინგი-ედინბურგი

საბურნირო მდგომარეობა

1. სარასენზი - 9 ქულა, 2. მანსტერი - 6, 3. მეტრო რასინგი - 4, 4. ედინბურგი - 0.

B ჯგუფი

ტულუზი-ოსფრიზი, ლესტერ ტაიგერზი-ბენეტონი

საბურნირო მდგომარეობა

1. ტულუზი - 8 ქულა, 2. ოსფრიზი - 5, 3. ლესტერ ტაიგერზი - 5, 4. ბენეტონი - 0.

C ჯგუფი

ქონოთი-ბიარიცი, ზებრე-ჰარლიქვინზი

საბურნირო მდგომარეობა

1. ჰარლიქვინზი - 9 ქულა, 2. ბიარიცი - 5, 3. ქონოთი - 4, 4. ზებრე - 0.

D ჯგუფი

გლაზგო-კასტრი, ნორსჰემპთონი-ალსტერი

საბურნირო მდგომარეობა

1. ალსტერი - 9 ქულა, 2. ნორსჰემპთონი- 6, 3. კასტრი - 4, 4. გლაზგო - 0.

E ჯგუფი

ჰლანეჰლი-ექსეტერი, კლერმონი-ლენსტერი

საბურნირო მდგომარეობა

1. კლერმონი - 10 ქულა, 2. ლენსტერი - 8, 3. ექსეტერი - 1, 4. ჰლანეჰლი - 1.

F ჯგუფი

სეილ შარქსი-ტულონი, კარდიფი-მონპელიე

საბურნირო მდგომარეობა

1. ტულონი - 9 ქულა, 2. მონპელიე - 4, 3. სეილ შარქსი - 4, 4. კარდიფი - 1.

„ემლინ ჩელენჯ კაპის" გათამაშებაში მესამე ტური **თამაზ მჭედლიძის** „მონ დე მარსანის" დაპირისპირებით გაიხსნა „ბორდოსთან". ჩვენებურთა გუნდმა სტუმრად იყოჩაღა და შეჯიბრებაში პირველი გამარჯვება მოიპოვა - 20:13. მარსანელებმა პირველი ტაიმი ორი ქულის სხვაობით 15:13 მოიგეს და შესვენების შემდეგ მასპინძლებს მონაგრის გაზრდის საშუალება არ მისცეს. მჭედლიძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა.

ამ ჯგუფის ლიდერი ინგლისური „ლონდონ აირიში" შინ ეთამაშება თანამემამულე „გლოსტერს", რომელსაც ერთი ქულით უსწრებს.

E ჯგუფში ლიდერი **ზურაბ ყვანიას** „სტად ფრანსეა". პარიზელებმა ორი თამაშიდან ორივე მოიგეს და მესამეს სტუმრად, იტალიურ „პრატოსთან" გამართავენ, რომელიც ორი ქულით ბოლო ადგილზეა. ჩვენებურის გუნდი დიდი ალბათობით მეტოქის დამარცხებას შეძლებს და პრემიალურ ქულასაც მოიპოვებს. ყვანია ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს.

ამავე ჯგუფში მეორეადგილოსანი ფრანგული „გრენობლი" შინ მიიღებს ინგლისურ „ლონდონ ველშს".

ემლინ ჩელენჯ კაპი

A ჯგუფი

ბორდო-მონ დე მარსანი 13:20, ლონდონ აირიში-გლოსტერი

საბურნირო მდგომარეობა

1. ლონდონ აირიში - 10 ქულა, 2. გლოსტერი - 9, 3. მონ დე მარსანი - 5, 4. ბორდო - 1.

B ჯგუფი

ვორდსტერი-პერპინიანი, გერნიკა-როვიგო

საბურნირო მდგომარეობა

1. ვორსტერი - 14 ქულა, 2. პერპინიანი - 11, 3. როვიგო - 0, 4. გერნიკა - 0.

C ჯგუფი

მოლიანო-ნიუპორტი, ბაიონი-ვოსფსი

საბურნირო მდგომარეობა

1. ვოსფსი - 10 ქულა, 2. ბაიონი - 9, 3. ნიუპორტი - 1, 4. მოლიანო - 0.

D ჯგუფი

ბუქარესტი-აჟენი, ბასი-კალვიზანო

საბურნირო მდგომარეობა

1. ბასი - 10 ქულა, 2. აჟენი - 6, 3. ბუქარესტი - 5, 4. კალვიზანო - 2.

E ჯგუფი

გრენობლი-ლონდონ ველში, პრატო-სტად ფრანსე.

საბურნირო მდგომარეობა

1. სტად ფრანსე - 9 ქულა, 2. გრენობლი - 6, 3. ლონდონ ველში - 4, 4. პრატო - 2.

ბესიკ ჯანგავაძე

მიხეილ ნარიაშვილი (მარჯვნივ)

ქართული სპორტი

● ძიუდო. ფედერაციის არჩევნები

როგორც ვივარაუდეთ, ქართულ ძიუდოში მოვლენები ყოვლად არაპროგნოზირებადი სცენარით ვითარდება და საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატების რიგებს გუშინ მესამე მსურველიც შეემატა - ნაკრების დღევანდელი თავკაცი, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი ირაკლი ცირეკიძე. განაცხადების წარდგენის ვადა გუშინ შუადღისას ამოიწურა, ცირეკიძემ კი ვადის გასვლამდე ცოტა ხნით ადრე შეიტანა განცხადება.

ირაკლი ცირეკიძე

შეგახსენებთ, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის სურვილი მანამდე ევროპის ვიცე-ჩემპიონმა **დავით ქევხიშვილმა** და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, პარლამენტარმა **თემურ ხუბულურმაც** გამოთქვეს. ამათგან ქევხიშვილი, თუ შეიძლება ასე ითქვას, დაპირისპირებულ მხარეთა საერთო კანდიდატი იყო. საყოველთაო განწყობით, მას უნდა მოერიგებინა ორივე მხარე, რითაც სიმშვიდისა და თანხმობის კენ პირველი დიდი ნაბიჯი გადაიდგმებოდა. საქმე თითქოს აქეთკენაც მიდიოდა, თუმცა ეს სიწყნარე იმთავითვე მყიფე ჩანდა და მალევე დაირღვა კიდეც, როცა ხუბულურმა განაცხადი შეიტანა. ახლა ამ ყველაფერს მესამე კანდიდატიც დაემატა.

ბუნებრივია, არანაირად არ ვართ არც ერთი პრეტენდენტის წინააღმდეგი, მაგრამ გვერჩივნა, საერთო კანდიდატურაზე შეთანხმებულიყვნენ. ახლა კი ისე ეტყობა, ქართულ ძიუდოში სიმშვიდემდე ჯერ კიდევ შორია. თუ ასე გაგრძელდა, გვეშინია, არ გამართლდეს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ **გია ნაცვლიშვილის** სიტყვები, სულ მალე ძიუდოში იმაზე უარესი არეულობა დაიწყება, ვიდრე აქამდე ვიხილეთო. არადა, მოგეხსენებათ, იმ ამბებმა

ოლონდ ახალ წელს არ იჭიდაოთ

რამდენით დაგვწია უკან და მასზე უარესი ხომ სულ მთლად იპონზე დაგვცემს.

ცხადია, ეს დაძაბულობა საერთო მაჩვენებლებზე აისახება. ასე მაგალითად, ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნების დარად უკვე რამდენჯერმე გადავადებული საქართველოს ჩემპიონატი კვლავ გადაიდო - 15-16 დეკემბერს გასამართი 18-19 დეკემბერს ჩატარდება სპორტკომპლექს „არენაში". თუმცა ახლანდელ გადადებას ცოტა სხვა მიზეზი აქვს - შაბათ-კვირას „არენა" დაკავებულია და თავისუფალი დროის გამონახვა ვერ მოხერხდა, მაგრამ აქამდე სწორედ რომ აღნიშნული დაპირისპირების გამო ვერ ჩატარდა - ახალი ხელმძღვანელობა მოვა და ბარემ, იმან ჩაატაროსო, ითქვა გადადების მიზეზად. იმედია, ახლა მაინც გაიმართება დათქმულ დროს და ახალ წელს არ იჭიდავებენ.

უკვე იმის თქმაც შეიძლება, რომ ნაკრების მოსამზადებელი პროცესიც ფერხდება. ჩვენდა ბედად, საგაისო კალენდარმა ცოტა გადაიწია - წინა წლებში მასტერსი თუ დეკემბერ-იანვარში ტარდებოდა, გაისად მაისშია გადატანილი, ხოლო თბილისის ტურნირი ადრე თუ 30-იანვრამდე იმართებოდა, წლეულს 2-3 თებერვალსაა შეტანილი კალენდარში. ამდენად, მოსამზადებლად დრო ჯერ კიდევაა, მაგრამ რაც ადრე დაიწყებს შეკრებას და მიზანმიმართულ მზადებას საგაისო სეზონისთვის, მით უკეთესი. ამ გზაზე უმნიშვნელოვანესია ქვეყნის პირველობის გამართვა, რადგან მან უნდა გაარკვიოს ის ბირთვი, ვისაც მწვრთნელი მომავალ სეზონში დაეყრდნობა და მათი მომზადება უნდა დაიწყოს. აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს კანოს ტურნირი, სადაც არ გამოვედით - სატურნირო პრაქტიკა ერთია და იქ ერთობლივი შეკრების გავლაც შეიძლებოდა. მართალია, ამ ხარვეზის გამოსწორება პარიზში და სხვა დიდ ტურნირებზეც შეიძლება, მაგრამ იაპონია, ტოკიო და კანო მაინც სხვა დონეა.

აი, ასეთი არასახარბიელო ვითარებაა ქართულ ძიუდოში, თუმცა ყველაზე ცუდი ისაა, რომ სპორტის ეს ნარმატებული სახეობა კვლავაც რჩება დაპირისპირებულთა თამაშის ობიექტად. დასასრულს კი შეგახსენებთ, რომ ფედერაციის საარჩევნო-საანგარიშო ყრილობა 10 დეკემბერს, 14 საათზე სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში გაიმართება.

ირაკლი თავაძე

ავტორის ფოტო

● ჩოგბურთი

ბასილაშვილი ნახევარფინალშია

ანტალიის ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) ნახევარფინალისტები გამოვლინდნენ. თბილისელმა **ნიკოლოზ ბასილაშვილმა,** რომელიც პირველ ნომრად არის განთესილი, ზედიზედ მესამე შეხვედრა მოიგო — გუშინ ტურნირის მეხუთე ნომერი ესპანელი გილერმო ოლასო დაამარცხა — 6:3, 6:3 და დღეს ავსტრიელი დინოს ნოვაკის მძლეველ (6:4, 7:6) ხორვატს — დინო მარჩანს დაუპირისპირდება. მეორე ნახევარფინალში ვლადიმირ უზნილოვსკი (უკრაინა) და მაქსიმ დუბარენკო (მოლდოვა) ითამაშებენ.

ვაჟა დანელია

ქართული სპორტი

● შეხვედრა

ჭადრაკის ლეგენდა სტუმრად ოლიმპში

გუშინ სადღესასწაულო განწყობა სუფევდა ზოგადსაგანმანათლებლო კერძო სკოლა „ოლიმპში“ (დირექტორი **ლელა ნიქარიშვილი**): მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონს, საჭადრაკო ოლიმპიადების თერთმეტგზის გამარჯვებულ **ნონა გაფრინდაშვილს.** მომღერალ მოსწავლეთა გუნდმა სახელოვან დიდოსტატს რამდენიმე სიმღერა უძღვნა. საპატიო სტუმარს მიესალმნენ ლელა წიქარიშვილი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი **გივი გოგიჩაიშვილი,** სპორტის ოსტატი **ხვიჩა ბახტაძე,** ასევე, სკოლის მოსწავლეები...

„ოლიმპი“ არსებობის მეთერთმეტე წელიწადს ითვლის, მაგრამ მისი მსგავსი ინფრასტრუქტურით ალბათ, ბევრი სასწავლებელი ვერ დაიკვეხნის. აქ მოსწავლეთა განკარგულებაშია ფეხბურთის ხელოვნურსაფრიანი სტადიონი, სპორტული დარბაზი, 25-მეტრიანი საცურაო აუზი ოთხი ბილიკითა და საჭყუმპალაოთი, ტრენაჟორების ოთახი და ჭადრაკის კაბინეტი. „სკოლაში მოსწავლეთა ინტელექტუალურ განვითარებას განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ. საამისოდ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ჭადრაკს, რადგან ივი მოზარდთა აზროვნებას ავითარებს, აჩვევს მათ მოწინააღმდეგის პატივისცემას და, რაც მთავარია, დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღებას. ამიტომაც შემოვიღეთ დაწყებით კლასებში ჭადრაკი სასწავლო საგნად. პირველ-მესამე კლასებში მას ორი-ორი, მეოთხე-მეექვსე კლასებში კი თითო საათი ეთმობა. განსაკუთრებით ნიჭიერი მოსწავლეებისთვის კი მესამე წელიწადია, ჭადრაკის წრეც ჩამოვაყალიბეთ. ჩვენთან ბრძენთა თამაშის პოპულარიზაცია-განვითარებას თბილისის ხუთგზის ჩემპიონი გივი გოგიჩაიშვილი ხელმძღვანელობს. მისი საქმიანობით კმაყოფილი ვართ. სწორედ, ბატონ გივის ინიციატივით ქალბატონი ნონა გაფრინდაშვილი მოვიწვიეთ. ჩვენს მოსწავლეებს ჭადრაკის ლეგენდასთან შეხვედრა არასდროს დაავიწყდებათ“, — გვითხრა ლელა წიქარიშვილმა. „ბოლო ორი წელიწადია, მოსწავლეები ჭადრაკისადმი მეტ დაინტერესებას იჩენენ, რასაც სკოლის დირექციაც ხელს უწყობს. საგრძნობლად გაიზარდა მომეცადინეთა რაოდენობა. წლეულს როგორც შიდასაკლასო, ისე შიდასასკოლო პირველობები მოვაწყვეთ. ჩვენმა სამმა მოსწავლემ საქართველოს ჩემპიონატებშიც მოსინჯა ძალები. მსგავს ტურნირებში გაისად უფრო მეტი მოზარდი იასპარეზებს. ქალბატონ ნონა გაფრინდაშვილთან შეხვედრის შემდეგ, დარწმუნებული ვარ, ჭადრაკის წრეში მომეცადინეთა რაოდენობა ერთიორად გაიზრდება. სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციის მიზნით, ქალბატონ ლელა წიქარიშვილს გაისად ქალაქის მასშტაბით საჭადრაკო ფესტივალის ჩატარება აქვს განზრახული“, — დასძინა გივი გოგიჩაიშვილმა.

სანამ ჩვენ ვსაუბრობდით, ქალბატონმა ნონამ ერთდროული თამაშის სეანსი გამართა 15 დაფაზე. მართალია, დიდ ჩემპიონთან ყველა მეტოქე დამარცხდა, მაგრამ მოზარდებისთვის ეს დღე დაუვიწყარ მოგონებად დარჩება.

ვაჟა დანელია
ავტორის ფოტო

● ჭადრაკი

პირველი ლიგის ორი ხელისუფალი

საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ეროვნული ჩემპიონატის პირველი ლიგის ტურნირზე გუშინ მე-6 ტურის შეხვედრები გაიმართა. ერთპიროვნული ლიდერი **სოფიო გვეტაძე** თეთრი ფიგურებით ინგა ხურციელავას დაუზავდა და 5 ქულას მოუყარა თავი. მას ქულებით ჯაუთანაბრდა **მაკა ფურცელაძე,** რომელმაც ანა შამათავა დაამარცხა. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ანა გავაშელი — ანა კუჭავა 0:1, მერი ჟორჟოლიანი — ალექსანდრა ვახანია 0:1, სოფიკო ტერელაძე — მარიამ ვალიშვილი 1:0, ნინო გუმბერიძე — მადონა ბოკუჩავა 0:1.

ექვსი ტურის შემდეგ ლიდერებს ნახევარ-ნახევარი ქულით ხურციელავა და კუჭავა ჩამორჩებიან. მეწინავეთაგან დღეს ითამაშებენ: კუჭავა-გვეტაძე, ხურციელავა — ფურცელაძე, ვახანია — ბოკუჩავა, შამათავა — ტერელაძე.

ვაჟა დანელია

მილოცვა

საქართველოს კრივის ეროვნული ფედერაცია დაბადების 50 წლის იუბილეს ულოცავს საქართველოს კრივის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს, საქართველოდან პირველ ოლიმპიურ მსაჯს, მსოფლიო კატეგორიის რეფერის

ზურაბ ტიბუას

ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ყოველგვარ სიკეთეს ცხოვრებაში.

ტაიმ-აუტი ლელოსთან ერთად

ბიბლიოთეკა

● ოლიმპიური მედლები

ალბერვილი, 1992

● პირველი, პირველმა, პირველად...

* * *

პირველი დრაფტი ამერიკულ ფეხბურთში ეროვნულ ლიგაში შედგა 1936 წლის 8 თებერვალს. „ინგლიზმა“ **ჯეი ბერვანგერი** აიყვანა.

* * *

პირველმა მსოფლიოში ეროვნულ ნაკრებში ფეხბურთელთაგან 100 მატჩი ჩაატარა ინგლისელმა **ბილი რაიტმა** . მე-100 მატჩი მან 1959 წლის 11 აპრილს ითამაშა.

* * *

პირველად ოლიმპიური თამაშების ისტორიაში 5.000 და 10.000 მეტრზე რბენაში საპატიო კვარცხლბეკზე ყველა ადგილი აფრიკელმა სპორტსმენებმა დაიკავეს.

● ვიქტორინა

1. ერთ-ერთი ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების 8 ფეხბურთელი 1960 წელს თვითმფრინავის ზღვაში ჩავარდნის შედეგად დაილუპა. ამ ქვეყნის ნაკრები იმავე წლის ოლიმპიურ თამაშებში ვიცე-ჩემპიონი გახდა — 1:3 წააგო იუგოსლავიის ნაკრებთან. რომელი ქვეყნის ტრაგიკულ გუნდზეა ლაპარაკი?

ა — შვეიცის
ბ — დანიის
გ — არგენტინის

2. სულ დღემდე მსოფლიოს რამდენი ჩემპიონი ქალი ჰყავს საჭადრაკო სამყაროს?

ა — 10
ბ — 11
გ — 14

3. რომელმა ცნობილმა პროფესიულმა მოკრივემ უჩივლა სასამართლოში თავის პრომოუტერს?

ა — მაიკ ტაისონმა
ბ — რიდიკ ბოუმ
გ — შეინ მოსლიმ

4. ანა ჩაკვეტაძე 1987 წელს შედიოდა მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელთა ათეულში. რომელი ქვეყნის სახელით?

ა — საქართველოს
ბ — რუსეთის
გ — უკრაინის

5. რომელ ფეხბურთელს, ფორვარდს შეარქვეს „მხეცი“?

ა — ზაქი ბადუს (მაროკო)
ბ — ტედი შერინგემს (ინგლისი)
გ — ედმონდოს (ბრაზილია)

პასუხები: 1. ბ; 2. ბ; 3. ბ; 4. ბ; 5. ბ.

● არა არს რა დაფარული...

წაგება სიკვდილის ფასად!

ფარდა აეხადა სპორტსაშინელებას, რაც 500 წლის წინ ხდებოდა. ნაპოვნია წიგნი, რომელსაც მალიაბიკის კოდექსი ეწოდება, სადაც აღწერილია, რომ აცტეკები სარიტუალო თამაშის შემდეგ (თამაში ფეხბურთის ნაირსახოვებას ნარმოადგენდა), დამარცხებული გუნდის ფეხბურთელებს კლავდნენ და თავებს აცლიდნენ. დამარცხებულთა თავები განსაკუთრებით ბევრია ნაპოვნი აცტეკთა იმპერიის დედაქალაქ ტენოჩკიტალანის ''ცენტრალურ სტადიონზე''-ტემპლომაიორში.

არავითარი ყვითელ-წითელი ბარათები, პირდაპირ სასიკვდილო განაჩენი!

● თარიღი

8 – 14 დეკემბერი

08. 1991 წ. ნიუ-იორკში შედგა ფეხბურთში 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე 143 გუნდის წილისყრა.

09. 1909 წ. შეიქმნა გერმანიის საფეხბურთო კლუბი „ბორუსია“ (დორტმუნდი).

09. 1969 წ. დაიბადა **ბიქსენტ ლიზარაზუ** — ფეხბურთი (საფრანგეთი).

09. 2007 წ. „წლის ადამიანის“ პრემიით დაჯილდოვდა ინგლისის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **სერ ბობი რობსონი.**

10. 1867 წ. არგენტინის ფეხბურთის დაბადების დღე.

10. 1896 წ. აშშ-ში ჩატარდა პირველი საკალათბურთო მატჩი საუნივერსიტეტო გუნდებს შორის.

10. 1963 წ. დაიბადა **რობინ უაიტი** — ჩოგბურთი (აშშ).

11. 1886 წ. დაარსდა საფეხურთო კლუბი „არსენალი“.

11. 1922 წ. დაიბადა ცნობილი სპორტული კომენტატორი **ნიკოლაი ოზეროვი** (რუსეთი). გარდაიცვალა 1997 წელს.

12. 1968 წ. დაიბადა **არტურ ეში** — ჩოგბურთი (ავსტრალია).

13. 1913 წ. დაიბადა **არჩი მური** — კრივი (აშშ). გარდაიცვალა 1992 წელს.

14. 1901 წ. დაიბადა **ანრი კოშე** — ჩოგბურთი (საფრანგეთი). გარდაიცვალა 1987 წელს.

14. 1947 წ. მადრიდში გაიხსნა სანტიაგო ბერნაბეუს სახელობის სტადიონი.

14. 1951 წ. დაიბადა **იან ტიმანი** — ჭადრაკი (ჰოლანდია).

14. 1979 წ. დაიბადა **მაიკლ ჯეიმს ოუენი** — ფეხბურთი (ინგლისი).

15. 1952 წ. დაიბადა **ალან როდენკამ სიმონსენი** — ფეხბურთი (დანია).

16. 1952 წ. დაიბადა **ფრანჩესკო გრაციანი** — ფეხბურთი (იტალია).

შენიშვნა: ქართული სპორტის ღირსსახსოვარი თარიღები ხუთშაბათობით "ქართული სპორტის ქრონიკებში" ქვეყნდება.

● იყო ასეთი შემთხვევა...

■ ■ ■

ცნობილმა ლიბერიელმა ფეხბურთელმა „ოქროს ბურთის“ მფლობელმა **ჯორჯ ვეამ** განათლების მიღება 39 წლის ასაკიდან დაიწყო, მას შემდეგ, რაც თავისი ქვეყნის 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში უფრო განათლებულმა კონკურენტმა აჯობა.

■ ■ ■

1971. ევროთასების ისტორიაში პირველად ჩატარდა მატჩი, რომლის შედეგიც მოგვიანებით გაუქმდა. ჩემპიონთა თასის პირველ მერვედფინალურ შეხვედრაში, მიონხენგლადბახის "ბორუსიამ" მილანის "ინტერს" 7:1 მოუგო. იტალიელებმა შეხვედრა გააპროტესტეს, რადგან პირველ ტაიმში (ანგარიში 2:1 იყო) ტრიბუნიდან ნასროლი ლუდის ქილა სტუმართა ფორვარდ რობერტო ბონინსენიას თავში მოხვდა. გადათამაშება დასავლეთ ბერლინში 1 დეკემბერს ჩატარდა და იგი 0:0 დასრულდა. მანამდე კი გუნდებმა 3 ნოემბერს განმეორებითი მატჩი ჩაატარეს, რომელიც "ინტერმა" 4:2 მოიგო (ერთი გოლი ბონინსენიას ანგარიშზეა). იმ გათამაშებაში "ინტერმა" ფინალამდე გააღწია, გადამწყვეტ შეხვედრაში კი **იოჰან კრუიფის** 2 გოლით ამსტერდამის "აიაქსთან" 0:2 დამარცხდა.

● სპორტი და ემოციები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი. NHL

პროგრესს რეგრესი მოჰყვა

ზედიზედ ორი პოზიტიური დღის შემდეგ ისევ ჩიხში შევიდა მოლაპარაკებათა პროცესი ჰოკეის ეროვნულ ლიგასა და მოთამაშეთა პროფკავშირებს შორის.

ბოლო შეხვედრა მხოლოდ ერთი საათი გაგრძელდა და მოულოდნელად შეწყდა. რამდენიმესაათიანი ლოდინის შემდეგ, NHL-ის კომისრის ასისტენტმა **ბილ დეილიმ** და ლიგის ადვოკატმა **ბობ ბეტერმანმა** დატოვეს ნიუ იორკის სასტუმრო Midtown და მოლაპარაკებები აღარ განახლებულა.

მოგვიანებით, ჟურნალისტების წინაშე გამოვიდა პროფკავშირების თავმჯდომარე **დონალდ ფერი**. მან განაცხადა, რომ NHL-ის წარმომადგენლებმა უარყვეს მოთამაშეთა ბოლო წინადადება ახალი კოლექტიური ხელშეკრულების შესახებ და მას მიუღებელი უწოდეს.

„ახლახან შეგვატყობინეს, რომ მათთვის მოთამაშეთა შეთავაზება მიუღებელია. ამიტომაც აზრი არ აქვს დღეს ან ხვალ მოლაპარაკებების განახლებას, თუმცა ისინი კავშირზე იქნებიან, - განაცხადა ფერმა. - *როგორც ჩანს, საკითხი უახლოეს მომავალში არ გადაწყდება. იმედია, ვცდები, მაგრამ ეს ის არის, რაც ამ მომენტში გაგვაჩნია. კლუბების მფლობელებთან ერთად მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადავდგით წინ ბევრ საკითხთან დაკავშირებით. ამიტომაც იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს საკამათო საკითხი საბოლოოდ მალე გადაწყდება“.*

პროფკავშირების თავმჯდომარე თავის განცხადებაში ოპტიმისტური განწყობის შენარჩუნებას ცდილობდა, მაგრამ მომდევნო საათებში ახალი დეტალები გახდა ცნობილი, რამაც სიტუაცია კიდევ უფრო დაამძიმა. ერთმა ჰოკეისტმა, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა მოისურვა, ჟურნალისტებს განუცხადა, რომ დონალდ ფერმა მოთამაშეებს მოუწოდა - მათ უარი თქვან ლიგის მიერ შეთავაზებული ხელშეკრულების ბოლო ვარიანტზე. მისი თქმით, ჰოკეისტების უმრავლესობა დათანხმდა ლიგის პირობებს, მაგრამ ფერმა მათ თხოვა, რომ არ მიიღონ ეს ვარიანტი, რადგან ეს NHL-ს საშუალებას მისცემს, თავისთვის კიდევ უფრო სარფიანი პირობები გაიტანოს. იტყობინებიან, რომ ფერს მხარი მხოლოდ მრავალმილიონიანი კონტრაქტის მქონე მოთამაშეებმა აუბეს.

ამასობაში, „დეტროიტის“ თავდამსხმელმა **დენ ქლირომ**, რომელიც მოთამაშეთა პროფკავშირების წევრია, ღრმა იმედგაცრუება გამოთქვა იმის გამო, რომ ძალიან მაღალია სეზონის გაუქმების ალბათობა. მისი სიტყვებით, უახლოეს დღეებში განიხილავენ პროფკავშირების დაშლის საკითხს.

„მეშინია სეზონის გაუქმების, - ამბობს Detroit Free Press-თან კომენტარში ქლირი. - *ეს რბილად არის ნათქვამი. რთულია მონახო სიტყვები იმ იმედგაცრუების გამოსახატავად, რაც მოთამაშეებში სუფევს. ჩვენ ისედაც დიდ დათმობებზე წავედით, საპასუხოდ კი NHL-მ არაფერი მოგვცა. უახლოეს პერიოდში განიხილავენ მოთამაშეთა პროფკავშირების დაშლის საკითხს. არ ვამტკიცებ იმას, რომ ყველაფერი სწორედ ასე მოხდება, მაგრამ ჩვენ ამას განვიხილავთ. მოთამაშეები მთლიანად უჭერენ მხარს ფერს. ტყუილია თითქოს, ის ჩვენს გაცურებას ცდილობს“.*

ქრივი

მოსლი ბრუნდება?

საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა კრივის სამყაროში - ცნობილი **შეინ „შუგარ“ მოსლი** რინგზე დაბრუნებას აპირებს.

ივნისში, **საულ ალვარესთან** წაგების შემდეგ, ამერიკელმა განაცხადა, რომ ოფიციალურად ასრულებს კარიერას. მაგრამ, დროთა განმავლობაში, ლეგენდარულ მოკრივეს არ დაუკარგავს სპორტული ფორმა, რადგან საკრივო დარბაზში თავის ვაჟთან - შეინ მოსლი-უმცროსთან ერთად ვარჯიშობდა.

იტყობინებიან, რომ შეინს არ მოეწონა ნახევრადსაშუალო წონაში WBA-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონის **პოლ მალინიაჯის** გამოსვლა, რომელსაც, ბევრის აღიარებით, უსამართლოდ მიანიჭეს გამარჯვება **პაბლო სესარ კანოსთან** ორთაბრძოლაში.

„შეინმა იცის, რომ მას ისევ შეუძლია ისეთი ჩემპიონის დამარცხება, როგორიც არის პოლი. ის ამას უმი ზნეებს“, - განაცხადა ანონიმურმა წყარომ.

თავად შეინ მოსლის ჯერ არ დაუდასტურებია ეს ინფორმაცია.

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

არ არის მელო, არ არის პრობლემა

ნიუ იორკმა სეზონში მეორედ მოუგო მაიამის 20 ქულით

„ნიუ იორკ ნიქსმა“ სტუმრად გაანადგურა „მაიამი ჰიტი“ და ხუთ მატჩამდე გაზარდა თავისი მოგებათა სერია. ამ შეხვედრის შედეგი მოულოდნელი იყო, რადგან „ნიქსს“ აკლდა თავისი ლიდერი **კარმელო ენტონი**, რომელსაც მარცხენა ხელის თითზე ხუთი ნაკერი დაადეს, ხოლო „მაიამის“ ლიდერი **ლებრონ ჯეიმსი** წესრიგში იყო და მას მხოლოდ ერთი პასი დააკლდა ზედიზედ მეორე სამმაგ დუბლამდე (31 ქულა, 10 მოხსნა, 9 პასი).

ეს გუნდები ამ სეზონში უკვე მეორედ შეხვდნენ ერთმანეთს. 3 ნოემბერს „ნიუ იორკმა“ შინ 20 ქულის სხვაობით გაანადგურა ჩემპიონი (104:84), ასე რომ, ფლორიდელებს რევანშზე ფიქრი მართებდათ და უკეთეს მომენტს ვერც ინატრებდნენ, მაგრამ მელოს არყოფნაში „ნიქსის“ რიგებში ლიდერობა თავის თავზე აიღო **რეიმონდ ფელტონმა**, რომელმაც 27 ქულა, 7 პასი და 4 მოხსნა ჩაიწერა აქტივში.



ჯეი არ სმიტი ს დანკი

პირველ ტაიმში მოედანზე სრული თანაფარდობა იყო, დიდი შესვენების შემდეგ კი სტუმრებმა გაქცევა მოახერხეს. ყველაფერი **ჯეისონ კიდის** სამქულიანით დაინყო და ვეტერანის მაგალითი გადამდები აღმოჩნდა მისი პარტნიორებისთვის. საერთო ჯამში, რვა წუთის განმავლობაში ნიუიორკელებმა რვა სამქულიანი ჩააგდეს, თანაც ხუთნი იყვნენ ამ ტყორცნების ავტორები, მათ შორის, ბოლო **ჯეი არ სმიტი**. შემდეგ კი **ტაისონ ჩენდლერმა** ორი საჯარიმო გამოიყენა და „ნიქსის“ უპირატესობა 18 ქულამდე აიყვანა.

„მაიამის“ საპასუხო გაქცევამ (13:3) შეხვედრას ინტრიგა დაუბრუნა, მაგრამ ცოტა ხნით. ეს „ჰიტის“ ბოლო გაბრძოლება იყო მატჩში. უკანასკნელ 12-წუთეულში „ნიქსმა“ ტემპი არ დააგდო და საბოლოოდ, 20 ქულით მოიგო - ზუსტად ისე, როგორც 3 ნოემბერს.

■ ■ ■

„ფინიქსმა“ „დალასთან“ საშინაო შეხვედრაში 11:1 სტარტის მიუხედავად, ზედიზედ მეხუთე მატჩი წააგო რეგულარულში. მარცხის მიზეზი გახდა მესამე მეოთხედის დასაწყისში დალასელთა 19:2 გაქცევა. მასპინძლებს კოშმარული 387 წამი ჰქონდათ, რომელიც 14 (!) გაფუჭებულ შეტევას მოიცავდა.

ფინიქსელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი არ დანებდნენ და ხანგრძლივი გაქცევა საფინალო სირენამდე 48 წამით ადრე ანგარიშის გათანაბრებით დასრულეს. მაგრამ, საქმის ბოლომდე მიყვანა „ფინიქსმა“ ვერ შეძლო. საპასუხო შეტევაში **მაიომ** საშუალო ტყორცნა მოათავსა კალათში, შემდეგ კი ექვსი საჯარიმო უშეცდომოდ ესროლა.

მაიამი–ნიუ იორკი 92:112

26:23, 27:30, 27:37, 12:22

მ: ჯეიმსი (31+10 მოხსნა+9 პასი+3 ჩაჭრა), უეიდი (13), ბოში (12+6 მოხსნა), ჰასლემი (10+7 მოხსნა).

ნ-მ: ფელტონი (27+7 პასი), ნოვაკი (18), ჩენდლერი (13+9 მოხსნა), სმიტი (13+6 მოხსნა), უოლასი (12+7 მოხსნა), კიდი (11).

ფინიქსი–დალასი 94:97

23:23, 21:17, 18:29, 32:28

ფ: მორისი (15+17 მოხსნა), დრაგიჩი (15+4 ჩაჭრა), სკოლა (13+9 მოხსნა), ბრაუნი (11+4 ჩაჭრა), დადლი (11).

დ: მაიო (23+5 მოხსნა+5 პასი), რაიტი (16), კოლისონი (16), კამანი (15+7 მოხსნა), მერიონი (10+5 მოხსნა).

გასოლს ტორონტოში უშვებენ

პაუ გასოლი

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ხელმძღვანელობას შეუძლია ჯიუტად ამტკიცოს, რომ არ ვანარმოებთ მოლაპარაკებებს **პაუ გასოლის** გაცვლასთან დაკავშირებით, მაგრამ უკვე ყველა ხვდება, რომ ესპანელის ტრეიდი გარდაუვალი აუცილებლობაა. ამიტომაც, გასაკვირი არ არის, რომ პრესაში ამ საკითხთან დაკავშირებით მუდმივად თუ ჩნდება ჭორები. ასე მაგალითად, თუ ამერიკული პრესის მიხედვით, „ტორონტო“ მზად არის პაუს სანაცვლოდ დათმოს **ანდრეა ბარნიანი, ხოსე კალდერონი** და **ლინას კლეიზა**.

არსებობს პაუზე კიდევ ერთი „მონადირე“ - „მინესოტა ტიმბერვულვზი“, რომელიც ჯერ კიდევ 2011 წლის დრაფტისას გამოთქვამდა დაინტერესებას ესპანელით. ჭორების თანახმად, „მგლები“ საპირისპირო მიმართულებით გაუშვებენ **დერიკ უილიამსსა** და **ნიკოლაი პეკოვიჩს**. „მინესოტას“ მონდომება გასაგებია - ის მიიღებს გამოცდილ ფორვარდს, „ყველა ვარსკვლავის მატჩის“ არაერთგზის მონაწილეს, რომელიც თან **რიკი რუბიოს** თანამემამულეა და შეუძლია, „ტიმბერვულვზი“ პლეი ოფის სტაბილურ მონაწილედ აქციოს.

როდმანი ციხეს გადაურჩა, მაგრამ...

დენის როდმანი

დიდი ხანია არაფერი გვსმენია ერთ დროს NBA-ის მთავარ სკანდალისტზე **დენის როდმანზე**. და აი, ყოფილი „ხარი“ ისევ გამოვიდა სცენაზე. გუშინ გამართულმა სასამართლო სხდომამ როდმანს ნახევარი მილიონი დოლარის გადახდა დაავალდებულა.

საქმე ეხება ალიმენტებს, რომელსაც კალათბურთელი წლების განმავლობაში არ იხდიდა. დენისს **მიშელ როდმანთან** ორი შვილი ჰყავს: ვაჟი და გოგონა. სწორედ მათ უნდა გადაუხადოს ყოფილმა ჩიკაგოელმა ნახევარი მილიონი. ეს პატარა თანხა არ არის დიდი სპორტიდან კარგა ხნის წინ წასული სპორტსმენისთვის, მაგრამ როდმანი კიდევ კარგად გადარჩა, რადგან თავდაპირველად, პროკურორი მას 850 ათას დოლარს „სძალავდა“, თან, სავსებით შესაძლებელია, დენისი ციხეშიც კი აღმოჩენილიყო.

დაპატიმრება აეროპორტში

კანონთან პრობლემები აქვს კიდევ ერთ კალათბურთელს, სტამბოლის „ფენერბაჰჩეს“ ფორვარდს **მაიკ ბატისტს**. ეს კალათბურთელი ათენის აეროპორტში აიყვანეს, სადაც თურქული კლუბი ევროლიგის მატჩში „პანათინაიკოსის“ წინააღმდეგ სათამაშოდ ჩავიდა.

ბერძნული მთავრობა ბატისტს 200 ათასი ევროს ოდენობის გადასახადების დამალვაში ედავება. დავამატებთ, რომ ბატისტამ „პანათინაიკოსის“ შემადგენლობაში ცხრა სეზონი გაატარა და გუშინდელი მატჩის წინ უნდა გამართულიყო საზეიმო ცერემონია, რომელზეც სათანადოდ დააფასებდნენ მაიკის ღვაწლს ბერძნული გრანდის წინაშე.

შეგახსენებთ, რომ ბატისტი „ფენერბაჰჩეს“ მეორე კალათბურთელია, რომელიც ევროლიგის მიმდინარე გათამაშებისას დააპატიმრეს. მანამდე **რომეინ სატომ** ერთი ღამე გაატარა სლოვენიის ციხეში მას შემდეგ, რაც იქაურმა ადგილობრივმა სამართალდამცავებმა გადაწყვიტეს, რომ კალათბურთელი ყალბი პასპორტით ცდილობდა საზღვრის გადაკვეთას.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

● ფორმულა 1



შუმის შვიდიანი

„მერსედესის“ პრესსამსახურმა გაანალიზა თავისი ყოფილი პილოტის **მიხაელ შუმახერის** გამოსვლების სტატისტიკა და ძალიან საინტერესო დასკვნამდე მივიდა.

გამოიკვეთა უცნაური კანონზომიერება: როგორც აღმოჩნდა, რიცხვი „7“ ლეგენდარული გერმანელისთვის გარკვეულ როლს თამაშობს.

მაგალითისთვის შეიძლება ავიღოთ 2012 წლის სეზონი, რომელიც ბოლო აღმოჩნდა მიხაელის კარიერაში. მაშ ასე...

შუმი 43 წლისაა (4+3=7), ის მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონია, გამოდიოდა ბოლიდით, რომლის ნომერი იყო „შვიდი“ და საერთო ჩათვლაში დააგროვა 49 ქულა (7x7).

როგორ მოიპოვა მან ეს ქულები? საერთო რაოდენობის 49% (7x7) მიიღო ოთხი მეშვიდე ადგილის სანაცვლოდ. რვა შედეგიანი რბოლიდან შვიდში ქულები ისე მოიპოვა, რომ პირველ სამეულში არ შესულა. გარდა ამისა, სეზონის განმავლობაში შვიდჯერ ვერ მივიდა ფინიშთან, კარიერაში თავის ბოლო გრანპრიზე კი მეშვიდემ გადაკვეთა ფინიშის ხაზი.

თუ გავიხსენებთ ფორმულა 1-ში შუმახერის წინა მიღწევებს, იქაც შეიძლება ვიპოვნოთ ამავე კანონზომიერების დამადასტურებელი მაჩვენებლები: მიხაელს დღემდე ეკუთვნის რეკორდი ზედიზედ მოგებული ეტაპების რაოდენობით. რთული მისახვედრი არ არის, რომ ასეთი გამარჯვება შვიდი იყო. სხვა რეკორდები უკავშირდება ერთ ტრასაზე მოგებულ რბოლებს. მაგალითად, მონრეალის ტრასაზე ის შვიდჯერ მივიდა ფინიშზე პირველი. 2006 წელს, მიხაელ შუმახერმა წააგო ტიტული **ფერნანდო ალონსოსთან** იმის მიუხედავად, რომ იმ სეზონში შვიდი გრანპრი მოიგო.

სხვათა შორის, 1991 წლის აგვისტოში, როცა მას „ჯორდანის“ ბოლიდით დებიუტი ჰქონდა ფორმულა 1-ში, სპაზე თავის პირველ კვალიფიკაციაში... მე-7 ადგილი დაიკავა. დაბოლოს, ალბათ, შემთხვევითობა არ არის, რომ ეს სტატისტიკური კოლაჟი „მერსედესმა“ 7 დეკემბერს გამოაქვეყნა.

ფეტელი: საპატიო აინტრახტელი

ფეტელი აინტრახტის მაისურით

მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, „რედ ბულის“ პილოტი **სებასტიან ფეტელი** თავისი საყვარელი საფეხბურთო კლუბის - „აინტრახტის“ საპატიო გულშემატკივარი გახდა. კლუბის პრეზიდენტმა **პიტერ ფიშერმა** სებასტიანს გულშემატკივართა კლუბის სამუდამო წევრობის ბარათი გადასცა.

„ჩვენი გუნდის დაარსების წელია - 1899, ამიტომაც კლუბში სამუდამო წევრობა 1899 ევრო ღირს. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ფორმულა 1-ის პილოტები არც ისე მდიდარი ადამიანები არიან, ამიტომაც გადავწყვიტეთ სებასტიანისთვის საჩუქრის გაკეთება, - იხუმრა პიტერ ფიშერმა. - ეს ჩემი იდეა იყო“.

სებასტიან ფეტელს ისღა დარჩენოდა, მადლობა გადაეხადა „აინტრახტის“ პრეზიდენტისთვის: *„ძალიან მადლიერი ვარ ასეთი საჩუქრისთვის და გუნდს ყველაფერს საუკეთესოს ვუსურვებ. ბიჭები შესანიშნავ შედეგებს აჩვენებენ. მე ამას ვლაპარაკობ არა როგორც ექსპერტი, არამედ, როგორც გულშემატკივარი, რომელიც მათ თამაშს ადევნებს თვალს. თუ ისინი ჩემპიონატს იმ პოზიციაზე დასრულებენ, რომელიც ახლა უკავიათ, ეს ნამდვილი სენსაცია იქნება“.*

შეგახსენებთ, რომ ბუნდესლიგის 15 ტურის შემდეგ, „აინტრახტი“ სატურნირო ცხრილში მეოთხე ადგილზე იმყოფება.

თურქეთი არა? მაშინ ავსტრია

როგორც გუშინდელ ნომერში ვწერდით, ფორმულა 1-ის კალენდარში ერთი ვაკანტური ადგილი გაჩნდა, რადგან 2013 წლისთვის დაგეგმილი ნიუ ჯერსის რბოლა 2014 წლისთვის გადაიდო. ვარაუდობდნენ, რომ ამ მიზეზით კალენდარში დააბრუნებდნენ თურქეთის გრანპრის. ეს საკითხი ყველას გადაწყვეტილი ეგონა, მაგრამ გუშინ, თურქეთის მთავრობამ უარი თქვა ამ პროექტის დაფინანსებაზე.

ახლა თურქეთის გრანპრის ადგილზე პრეტენზიას აცხადებს ავსტრიის გრანპრი. როგორც ცნობილია, ავსტრიულ ავტოდრომს ცოტა ხნის წინ, რეკონსტრუქცია ჩაუტარდა და ის სრულად აკმაყოფილებს ფორმულა 1-ის მოთხოვნებს, შესაბამისად, მზად არის რბოლის ჩასატარებლად. ამ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას დეკემბრის ბოლოს მიიღებენ.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

● ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ევროპის ლიგა

სპორტინგი-ვიდეოტონი	2:1

ინგლისი

ჩემპიონშიფი

გლეძბერნი-კარდიფი	1:4

ნასიონალი

ბაროუ-ჰერეფორდი	0:2

იტალია

სერია B

სასუოლო-მოდენა	2:0

ესპანეთი

ესპანიოლი-სევილია	2:2

გერმანია

ჰამბურგი-ჰოფენჰაიმი	2:0

II ბუნდესლიგა

ფრანკფურტი-ზანდჰაუზენი	3:1
უნიონი-კაიზერი	2:0
აალენი-დუისბურგი	0:1

რეგიონალლიგა (ჩრ)

ვერდერი II-ჰამბურგი II	0:1

რეგიონალლიგა (დას)

ლოტე-ფერლი	2:0

საფრანგეთი

ტულუზა-ბასტია	0:0

საფრანგეთის თასი

VIII რაუნდი

ლავალი-გინგამი	1:2
სტ. რენანი-ნანტი	0:1

პოლანდია

ჰერაკლესი-უტრეხტი	1:1

II დივიზიონი

ექსელსიორი-სპარტა	2:1
დორდრეხტი-ფორტუნა	0:1

ბელგია

სტანდარდი-შარლერუა	6:1

პორტუგალია

ეშტორილი-სეტუბალი	3:0

დანია

სონდერი

რკინის მაიკის დაცემა

გუშინდელ ნომერში შემოგთავაზეთ სტატია იმის შესახებ, თუ როგორ დგამდა თავის პირველ ნაბიჯებს საჩოგბურთო კარიერაში რუსი ჩოგბურთელი მარია შარაპოვა. დღეს კი ჩვენ 26 წლით უკან ვბრუნდებით და იმდროინდელ მაიკ ტაისონს გავიხსენებთ.

1986 წლის 22 ნოემბერი, 20 წლის **მაიკ ტაისონმა** თავისი სახელი ჩაწერა კრივის რეკორდების წიგნში. მან დაამარცხა WBC-ის ტიტულის მფლობელი **ტრევორ ბერბიკი**, რითაც "რკინის მაიკი" გახდა ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი სუპერმძიმე წონით კატეგორიაში - ეს რეკორდი დღემდე ძალაშია.

ბრძოლა ლას ვეგასში გაიმართა და ტაისონმა მეორე რაუნდში დასცა რინგზე ბერბიკი. ამით მან დაამხო **ფლოიდ პატერსონის** რეკორდი, რომელიც მანამდე იყო ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი. ასე დაიწყო ტაისონის ეპოქა და ამერიკელი რამდენიმე წლის განმავლობაში დომინირებდა რინგზე.

■ ■ ■

ბრუკლინში დაბადებული მაიკ ტაისონი კრივს ნიუ იორკის შტატის ჩრდილოეთით კეტსკილში სწავლობდა. პოლიციის შენობასთან მდებარე სპორტდარბაზში, ლეგენდარული მწვრთნელის **კას დ'ამატოს** ხელმძღვანელობით, ნორჩი ხულიგანი თავის სისასტიკეს კეთილშობილურ ხელოვნებაში აქსოვდა. კიდევ ერთი მოკრივე, რომელიც იმ პერიოდში დამატოს სპორტდარბაზში ვარჯიშობდა, ქალი მებრძოლი **ნადია ჰუიტინი** იყო.

ნადია ჰუიტინი: "*არ დაგავიწყდეთ, რომ ის მაშინ მხოლოდ 13 წლის იყო. სიმპათიური ბავშვი. ის ჰგავდა ლეკვს, რომელიც ცუდად იქცევა, მაგრამ მაინც საყვარელია. მას კრივის არაფერი გაეგებოდა, მაგრამ ძალიან სწრაფად ითვისებდა ყველაფერს, უდიდესი ნიჭიც ჰქონდა. ასე რომ, ყველაფერი წინასწარ იყო ცნობილი: თუ ყველანაირ გაუთვალისწინებელ გარემოებას გამოვრიცხავდით, ის აუცილებლად გახდებოდა სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ჩემპიონი.*

■ ■ ■

ბილ კლეიტონი (ტაისონის პირველი მენეჯერი): "*მაშინდელი ტაისონი ექსტრაორდინალური მებრძოლი იყო, ძალიან უხეში, სასტიკი პანჩერი. მას ბრწყინვალე ტექნიკა და უძლიერესი დაყენებული დარტყმა ჰქონდა. თან მას ავარჯიშებდა ყველა დროის უდიადესი მწვრთნელი კას დ'ამატო, რომელიც მთელ დროსა და ენერგიას სწორედ მას ახარჯავდა. მან 13 წლისა აიყვანა ტაისონი, რომელთანაც 5 წელი მუხლჩაუხრელად იმუშავა და მაიკი უკვე მზად იყო, ბრძოლაში გამოეწვია უძლიერესი მოკრივეები*".

სამწუხაროდ, იმ წელს, როცა ტაისონი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, კას დ'ამატო გარდაიცვალა. ბერბიკზე ტრიუმფი მან სწორედ მწვრთნელის ხსოვნას მიუძღვნა.

ერთი წლის შემდეგ ტაისონმა სუპერმძიმე წონაში ყველა ტიტული გააერთიანა და მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი გახდა. 80-იანი წლების ტაისონი უნაკლო მოკრივე იყო. ბრწყინვალე დარტყმა, ტექნიკა, მეტოქისთვის მოუხელთებელი მოძრაობა, მუდმივად ბრძოლისკენ სწრაფვა... მას ბევრი შესანიშნავი კომბინაცია ჰქონდა დამუშავებული, ყოველთვის კარგად მუშაობდა სხეულით და მისგან მუდმივად საფრთხე მოდიოდა.

მაგრამ რინგის მიღმა მაიკის ცხოვრებაში სრული ქაოსი სუფევდა. **რობინ გივენსთან** მისი საბედისწერო ქორწინება ძალიან მალე დასრულდა. ის ერთხელ მანქანით ხეს შეეჯახა და ამ საქციელში შეინიშნებოდა თვითმკვლელობის მცდელობა. ქუჩაში ბევრს ჩხუბობდა თავის ყოფილ მტრებთან. ამას დაემატა ისიც, რომ წაეჩხუბა თავის პრომოუტერებს – **ბილ კლეიტონსა** და **ჯიმი ჯეიკობსს** და სკანდალურ და ცბიერ **დონ კინგს** შეუერთდა.

ბილ კლეიტონი: "*მაიკ ტაისონი დამაჯერებელი ნაბიჯებით მიდიოდა იქითკენ, რომ მართლაც ყველა დროის უდიადესი მოკრივე გამხდარიყო. მეგონა, რომ ის პროგრესს გააგრძელებდა და სწორედ ასეთ მწვერვალებს მიაღწევდა. მაგრამ მან მიატოვა კევინ რუნი, მიმატოვა მე, მიატოვა სტივ ლოტი და შეეკრა ადამიანს, სახელად დონ კინგს, რომელმაც თავის საცეცებში მოიქცია მოკრივე და ამის შემდეგ, საქმეები უკან და უკან წავიდა*".

■ ■ ■

1990 წელს ტაისონმა სენსაციურად წააგო აუტსაიდერ **ჯეიმს ბასტერ დაგლასთან**, რომელსაც ბრძოლის წინ მოგებაზე კოეფიციენტი 42 ჰქონდა. ტიტულის დათმობის შემდეგ, მან თავისი თავისუფლებაც დაკარგა.

1992 წელს მაიკი გაუპატიურებისთვის გაასამართლეს და სამ წელიწადზე მეტი ციხეში გაატარა. მოკრივე დღემდე უარყოფს ამ დანაშაულს.

დონ კინგის მეშვეობით ტაისონი რინგზე დაბრუნდა და საშუალო დონის მოკრივეებთან ბრძოლებში დაიბრუნა WBC-ისა და WBA-ის ტიტულები. თავდაპირველად ტაისონი თითქოს დიდად არ განსხვავდებოდა იმისგან, რაც კარიერის დასაწყისში იყო. ისე ჩანდა, რომ ციხემ დიდად არ შეცვალა ის.

„მე არ მჯერა რეაბილიტაციის, არ მჯერა გამოსწორების. მიმაჩნია, რომ ზოგიერთი ადამიანი უფრო ჭკვიანია, ვიდრე სხვა. როცა ისინი პრობლემას აგვარებენ, ცდილობენ შეცდომა აღარ გაიმეორონ და საკუთარ საჯდომს უფრთხილდებიან. არ მჯერა გამოსწორების. არ მომწონს ძველი გამოცდილების გათვალისწინება, გრძელი გზის გავლა და პრობლემების ასე მოგვარება. არ გამოვრიცხავ, ისევე მოვიქცე, როგორც ამას ადრე ვაკეთებდი", - ამბობდა მაშინ ტაისონი.

1997 წელს ტაისონი სპორტის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური მომენტის ეპიცენტრში მოექცა. WBA-ის ტიტულისთვის ბრძოლაში მან **ევანდერ ჰოლიფილდს** ყური მოაჭამა, თანაც ეს არა ერთხელ, არამედ ორჯერ გააკეთა. ამას მოჰყვა ორწლიანი დისკვალიფიკაცია და ფულადი ჯარიმა სამი მილიონი დოლარის ოდენობით.

> **არ მჯერა გამოსწორების. მიმაჩნია, რომ ზოგიერთი ადამიანი უფრო ჭკვიანია, ვიდრე სხვა. როცა ისინი პრობლემას აგვარებენ, ცდილობენ შეცდომა აღარ გაიმეორონ და საკუთარ საჯდომს უფრთხილდებიან**

> **მე ქუჩის ბიჭი ვარ. არ მინდა, რომ ასეთი ვიყო. არ მომწონს ტიპური ქუჩის ადამიანი. ძირითადად, ჩემი ცხოვრების ტრაგიკულმა მომენტებმა დამაყენა ამ გზაზე**

ტაისონმა კიდევ ერთხელ შეირცხვინა თავი, ამჯერად რინგზე. მან შეურაცხყოფა მიაყენა სპორტს, რომლის წყალობითაც თავი დააღწია ბანდიტურ სამყაროს. ბევრს ეგონა, რომ ტაისონი რინგზე აღარ გავიდოდა. მაგრამ მაიკი კიდევ ერთხელ დაბრუნდა, თუმცა ის ძველი ტაისონის აჩრდილიღა იყო დარჩენილი. მისი კარიერა 2005 წელს დასრულდა, როცა ირლანდიელ **კევინ მაკბრაიდთან** დამარცხდა.

■ ■ ■ *

2011 წელს ტაისონი კრივის საერთაშორისო დიდების დარბაზში შეიყვანეს, რომელიც კანასტოტაში, ნიუ იორკის შტატის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს. იქ ის **სონი ლისტონის, ჯო ფრეზერისა** და **მოჰამედ ალის** გვერდით დააყენეს.

აი, რას ამბობს კრივის დიდების დარბაზის აღმასრულებელი დირექტორი **ედვარდ ბროფი**: *„მაიკ ტაისონი - ეს არის სახელი, რომელიც შეგიძლიათ მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში ახსენოთ და მას ყველა იცნობს. როცა სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ჩემპიონებზე ლაპარაკობენ, ახსენებენ მოჰამედ ალის, ჯო ფრეზერს, როკი მარჩიანოს, ჯეკ დემპსის, ჯო ლუისს. არიან მოკრივეები, რომლებიც უდიადეს სპორტულ გმირებად აღიქმებიან და მაიკ ტაისონი მათ რიცხვშია“.*

მიუხედავად იმისა, რომ 80-იან წლებში მაიკ ტაისონმა თავისი განუმეორებელი, თვითმყოფადი და აგრესიული სტილი მოიტანა, მისი ადგილი კრივის ისტორიაში შელახულია რინგის მიღმა საეჭვო ქმედებებით. მისი მემკვიდრეობა ეფუძნება მოკლე, მაგრამ დიად წარსულს, ბრწყინვალე ტყუილსა და მზადყოფნას, რომ გახდეს ყველაზე ცუდი ადამიანი პლანეტაზე.

მაიკ ტაისონი: „ადამიანებო, მომისმინეთ. მე ქუჩის ბიჭი ვარ. არ მინდა, რომ ასეთი ვიყო. არ მომწონს ტიპური ქუჩის ადამიანი. მაგრამ ასეთია რეალობა - მე ასეთი გავხდი, ძირითადად, ჩემი ცხოვრების ტრაგიკულმა მომენტებმა დამაყენა ამ გზაზე. თქვენ იცით, მე მაიკი ვარ. არ ვარ ბორტი. მე უბრალოდ ვარ მე. უბრალოდ მინდა საკუთარი ცხოვრებით ვიცხოვრო. ვიცი, რომ ბევრი ჩემზე ცუდს ლაპარაკობს, მაგრამ მე მინდა ვიცოდე, რას ლაპარაკობენ ჩემზე. ისინი არასოდეს მივიწყებენ. ისინი ამბობენ: „მაიკი გიჟი არ არის“.

გია თვალაბეიშვილი

> **2011 წელს ტაისონი კრივის საერთაშორისო დიდების დარბაზში შეიყვანეს, რომელიც კანასტოტაში, ნიუ იორკის შტატის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს**

ᲚᲔᲚᲝ

ISSN 2233-3827

9 772233 382000

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ირაკლი თავაძე**

1934 ნლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: lelo@palitra.ge

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:07

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: **შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**